# სპორტიელი

სპორტული გაზეთი | ხუთშაბათი 14 ივნისი 2001 №109 (1382) | ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

# აბსურდის დოზი გუშინ დასრულდა

მერაბ ჟორდანია და ვალერი ჩოლარია შეუვალნი იყვნენ

**1999 წლის დეკემბერში საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ ერთ უნაგირზე ორი კაცი შესვა. თვრამეტთვიანი აბსურდის დოზი გუშინ ლოგიკურად ანუ სკანდალურად დასრულდა: რევაზ ძოძუაშვილი დავით ყიფიანისგან მიტოვებული წაქცეული ცხენის — საქართველოს ნაკრების დაპატრონებას შეეცადა, მაგრამ ფედერაციის აღმასკომმა არ დაანება. ფედერაციის პრეზიდენტის მერაბ ჟორდანიას თქმით, ახლა საქართველოს ნაკრებს უცხოელი თუ უშველის.**

იხილეთ მეორე-მესამე გვერდები



ნაკრებიდან წასულ დავით ყიფიანს გაჯიუტებულ-გაჯიქებული რევაზ ძოძუაშვილიც მიაყოლეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უთავობა, ორთავობა, უთავობა

**გაცხარდა** გუშინ რევაზ ძოძუაშვილი, საქართველოს ნაკრების აწ უკვე ყოფილი მწვრთნელი, ხელები აბრახუნა, ბევრი ამტკიცა, ითხოვა, მოინანია კიდეც, მაგრამ, ეტყობა, მაინც იფიქრა, ამდენს ტყუილად ვლაპარაკობო, კათედრიდან ჩამოხტა, დარბაზის კარისკენ შურდულივით გაქანდა და ნერვებაშლილმა და გაფითრებულმა წამოიძახა — მორჩა, მეც ყიფიანს მივყვები, ნაკრებიდან წავედი, მწვრთნელი კი აწი მერაბ ჟორდანია იყოსო.

დარბაზში ვითარება კიდევ უფრო დაიძაბა, ვინ რა მიაძახა კარის გამჯახუნებელ მწვრთნელს... ძოძუაშვილს სახეზე ფერი არ ედო, თვალები გაფართოებოდა, შუბლზე ოფლმა დაასხა, კანკალებდა. ძალიან სურდა, ნაკრების მწვრთნელობა გაეგრძელებინა, ამიტომაც ლაპარაკობდა თითქის ორი საათი ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის გუშინდელ სხდომაზე, მაგრამ...

გუშინ პირველი შემთხვევა იყო, როცა აღმასკომის სხდომას, ოღონდ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, ჟურნალისტებიც დაგვასწრეს. ეს რევაზ ძოძუაშვილის მოთხოვნა იყო. იგი ჩვენი თანდასწრებით აპირებდა აქამდე ართქმულის სწორედ აღმასკომის სხდომაზე გაცხადებას. აღმასკომის წევრები დათანხმდნენ და დაიწყო.

პირველი და მერე, ბოლო სიტყვაც ფედერაციის პრეზიდენტ მერაბ ჟორდანიასი გახლდათ:

— ეროვნულ გუნდში რაც ხდება, ჟურნალისტებმა არ იციან, არც არის ეს საქვეყნოდ სალაპარაკო. მე კი კარგად ვარ ნაკრების სამზარეულოში ჩახედული და ამიტომაც მსურს, რომ ყიფიანმა და ძოძუაშვილმა მწვრთნელის პოსტი დატოვონ. მიუხედავად იმისა, რომ ორივეს უდიდეს პატივს ვცემ და დღესდღეობით საუკეთესო ქართველ მწვრთნელებად მიმაჩნია, აზრს მაინც არ ვიცვლი — საერთო საქმისთვის უკეთესი იქნება, ნაკრებს თუ ჩამოშორდებიან. აღმასკომის წევრებო, დღეს ჩვენ სერიოზული გადაწყვეტილების მისაღებად ვართ შეკრებილნი. გთხოვთ, ყველამ დააფიქსიროთ თქვენი პოზიცია, ერთმანეთს მოვუსმინოთ და მერე ჟურნალისტების გარეშე საბოლოო სიტყვა ვთქვათ.

რევაზ ძოძუაშვილი წამოდგა. აღმასკომის წევრებმა მზერა მას მიაპყრეს. ძოძუაშვილი ცოტა დაიბნა, ვის უნდა დაეწყო, არ იცოდა. საბოლოოდ მწვრთნელს ტრიბუნასთან სთხოვეს. ისიც წელში გაიმართა, სათვალე შეისწორა, საქაღალდე მაგიდაზე შემოდო. დარბაზი გაინაბა, ძოძუაშვილმა კი ხელები გაშალა და დაიწყო:

— მთხარული ვარ, რომ ჟურნალისტების თანდასწრებით ლაპარაკისა და ჩემი სიმართლის დამტკიცების საშუალება მომეცა. ძალიან მსურს, ბევრი ვილაპარაკოთ და ყველაფერი ვთქვათ. ყველას გიპასუხებთ.

არ მინდა ნაკრებიდან წასვლა. ხალხი მირეკავს, მთხოვს, რომ ჩემი ცოდნა საქართველოს ნაკრებს მოვახმარო, გამოვადგე ქვეყანას. ყიფიანი რომ თავისი ნებით წავიდა, ეს იმას არ ნიშნავს, მას ძოძუაშვილიც მიჰყვეს — რევაზ ძოძუაშვილი მერაბ ჟორდანიასა და ფედერაციის გენერალურ მდივან ვალერი ჩოლარიას მიუბრუნდა — როცა ნაკრებს ორ მწვრთნელს აბარებდით, მაშინ არ ფიქრობდით, ამას რა მოჰყვებოდა? მე უცხოეთიდან ჩამოვედი და მწვრთნელად დამნიშნეთ, ქვეყნის ინტერესებისთვის ფინანსურად გაცილებით უკეთესი წინადადებები ვიუარე. ახლა მომეცით მუშაობის საშუალება. მაშინ იმიტომ დაგთანხმდით, რომ ქართული ფეხბურთის სამსახური მინდოდა. როცა მე და დათო ყიფიანი მწვრთნელებად დავინიშნეთ, ყიფიანი მოვიდა ჩემთან და მითხრა, რეზო, მე შენი დამხმარე ვიქნებიო. გავიდა ცოტა ხანი და მეუბნება: რეზო, არ გეწყინოს, მაგრამ ჩემს ცხოვრებაში უფროსი არ მყოლიაო. აგერ, ბატონო, გადაშალეთ მატჩების პროგრამები, გაზეთები, საქართველოს ნაკრების ერთადერთ მწვრთნელად ყველგან დავით ყიფიანი წერია. მე მის თანაშემწედაც არ ვარ მოხსენიებული.

რაც ყიფიანთან ერთად ვმუშაობ, მხოლოდ ერთხელ იყო, რომ მატჩისთვის შემადგენლობა მე დავასახელე და გუნდი ტაქტიკურად დავმოძღვრე — ეს ლიტვასთან მატჩის წინ იყო. ის თამაში, კარგად გაიხსენეთ, 4:0 მოვიგეთ. თუმც კი მაშინაც, ლიტველებთან მატჩის წინა ღამეს, ჟორდანიას, ჩივაძესა და ყიფიანს შემადგენლობა უკვე მოფიქრებული ჰქონდათ. მე მოგვიანებით დამიძახეს და ისე, სხვათა შორის მკითხეს, ვეთანხმებოდი თუ არა შემადგენლობის მათ ვარიანტს. არ დავთანხმდი, ჩემი გავიტანე. როგორც ვთქვი, ჩემეული შემადგენლობითა და ჩემს მიერ არჩეული ტაქტიკით ვითამაშეთ. ამის მერე იტალია იყო. ყიფიანს, ლამის დავუჩოქე, ვთხოვე, იმ მატჩისთვის გუნდი მე მომემზადებინა, პასუხისმგებელი ვიქნები-მეთქი, ათასჯერ გავუმეორე. თანაც ავად იყო. არა — კატეგორიულად მიპასუხა — მხოლოდ ჩემთან ერთადო. კარგი, წავაგეთ იტალიასთან და რუმინელებთან მატჩისთვის მზადება დავიწყეთ. გუნდში თავიდათავი კვლავ ყიფიანი იყო. მან ყველაფერი საკუთარ თავზე აიღო, გერმანიაში შეკრებიდან დაწყებული, მატჩის ბოლომდე. მე ნაკრებში აღარაფერს წარმოვადგენდი. როგორ მორჩა მატჩი რუმინეთთან? წავაგეთ. მოვა დავით ყიფიანი და ალბათ თვითონ იტყვის, რა როგორ იყო. მე არაფერს ვიგონებ.

ძალიან გთხოვთ, მომეცით დარჩენილი სამი თამაში, მხოლოდ მე მოვამზადებ გუნდს და მერე ვნახოთ. არ მეშინია, არ წავაგებთ. წავაგებთ და უხმოდ წავალ.

მე თქვენსავით „მერსედესებით“ არ მოვსულვარ. მე ფეხბურთში თქვენზე მეტი ვიცი, გესმით, ფეხბურთისა ყველა თქვენგანზე მეტი გამეგება! თუ ვინმე ასე არ ფიქრობთ, აქეთ და მეკამათეთ, დაგიმტკიცებთ, რომ ასეა. დამაფასეთ.

მეუბნება ყიფიანი, დაგეხმარები, შენ მოგყვებიო და ერთი თამაშის შემდეგ უკვე მე მივყვებოდი. რასაც ვამბობდი, ნაკრებში ის არ კეთდებოდა. შემადგენლობა, ხომ ვთქვი, მხოლოდ ლიტვასთან მატჩისთვის იყო ჩემი დასახელებული.

იცით, რას გეტყვით, დიახაც, იმან შემიშალა ხელი, ნაკრებს რომ ორი მწვრთნელი ჰყავდა. ასე რომ არ ყოფილიყო, ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვდებოდა. მომეცით იმის საშუალება, ნაკრებში მარტომ ვიმუშაო და შედეგს დაგანახებთ... აგერ, დათოც მოვიდა და მასაც ჰკითხეთ, ისიც ალბათ ივივეს გაიმეორებს...

ძოძუაშვილმა სიტყვა შეწყვიტა, დარბაზში ყიფიანი შემოვიდა. მერე კი ისევ ძოძუაშვილმა განაგრძო.

— ყველა რომ ამბობთ, აბრამიძეს, ქემოკლიძეს, თოდუას ნაკრებში რა უნდაო, აგერ, დაიმახსოვრეთ ეს დღე და ჩემი სიტყვები და ცოტა ხანში კარგად ნახავთ, ესენი როგორ ფეხბურთს ითამაშებენ. ნახავთ, კარგად ნახავთ. მერე გაგახსენებთ ჩემს სიტყვებს. ან კიდევ, ჯამარაული, ჯამარაულიო, რომ გაიძახით. მე მას მენთეშაშვილი მირჩევნია. რატომ? შემიძლია ამის დამტკიცება. მომეცით საშუალება და ნაკრებში მარტო მამუშავეთ, არ წაგებთ...

ძოძუაშვილს ყიფიანმა გააწყვეტინა:

— მივცეთ ამ კაცს ამის საშუალება, დარჩეს ნაკრების მწვრთნელად. ამბობს, საქმეს გავაკეთებო, ამბობს, რომ ააშენებს, ხომ არ ანგრევს? მე კი ჩემს სუბიექტურ აზრს მოგახსენებთ და კატეგორიულ დასკვნას ვაკეთებ — საქართველოს ნაკრების ამ პლეადას ფეხბურთის თამაში არ შეუძლია და არც მე მსურს მათთან მუშაობა. მათ ჩვენ უნგრეთში ერთი შანსიც მივეცით. ასეთი შანსი ნიჭიერმა თაობამ უნდა გამოიყენოს — ვერ გამოიყენეს. რეზოს კი სურს და გთხოვთ, რომ ნაკრებში დარჩეს, დატოვეთ მწვრთნელად.

ყიფიანმა არც ამჯერად გაუშვა ხელიდან პრე-



რევაზ ძოძუაშვილი: ჟესტი, მიმიკა და ორსაათიანი მონოლოგი

დავით ყიფიანმა საგაზეთო საქმიანობაშიც ჩაიხედა

სის გაქილიკების შანსი და, როგორც თითქმის ყოველთვის, ამჯერადაც მხოლოდ „სარბიელზე“ თქვა...

—ძალიან მაინტერესებს, უნგრეთთან მატჩი ჩვენი დროით რომელ საათზე დამთავრდა?

— პირველზე — იყო აღმასკომის წევრების პასუხი.

— მერე ერთი ეგ მითხარით, ხუთ საათში როგორ მოასწრო „სარბიელმა“, ამ მატჩს გამოხმაურებოდა? რა ტექნიკა გაქვთ ასეთი? გამომცემლობებში ჩემი მეგობრები მუშაობენ და მათ მითხრეს, რომ ასეთი რამ შეუძლებელია.

— ეს შესაძლებელია. გვერდის მომზადება ნახევარ საათშიც შეიძლება. მობრძანდით რედაქციაში და განახებთ, რანაირი ტექნიკაც გვაქვს — ვუპასუხეთ ყიფიანს.

— ტექნიკა კი არა, კრასკა არ გაქვთ. თქვენ ნახევარი საათი კი არა, შვიდ თვეს აწყობდით 7 ივნისის ნომერს, უნგრეთში წაგებას ელოდით.

მეტი აბსურდი თუ გსმენიათ?!

მერე ისევ ყიფიანმა თქვა. უფრო სწორად, კოლეგის კითხვას უპასუხა.

— დიახაც, ჩემი იდეა იყო, რომ ნაკრებში ერთბაშად ორ მწვრთნელს, მე და რეზოს გვემუშავა.

— მერე?

— რა მერე. მაშინ დარწმუნებული ვიყავი, ორი თანაბარუფლებიანი მწვრთნელი გაამართლებდა, მაგრამ ჩემი იდეა მცდარი გამოდგა.

ისევ ყიფიანი.

— კაცი ასეთი დარწმუნებულია თავის თავში და ამუშავეთ, მიეცით ძოძუაშვილს შანსი.

ამას ჟორდანიას პასუხი მოჰყვა.

— მე ორივე მწვრთნელის მჯერდა და ახლაც დარწმუნებული ვარ, ერთხელაც ვიმეორებ, რომ დღეს საქართველოში ორივე საუკეთესო მწვრთნელია, მაგრამ მაინც, ნაკრებში შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, აჯობებს, ისინი გუნდიდან წავიდნენ.

ძოძუაშეილმა ვერც ამჯერად მოითმინა, გაფითრდა და ისევ ყვირილით თქვა:

— მერაბ, შენ არ იყავი, შენ და დათო არ იყავით, რომ მეუბნებოდით, ამ თაობას ერთი შანსიც მივცეთ და ქვეყანას დავანახოთ, რას წარმოადგენენ ეს ფეხბურთელებიო. მე გიპასუხეთ, რომ შემადგენლობის გადახალისება ჰარმონიულად უნდა მოხდეს-მეთქი. ასე არ იყო?

ძოძუაშვილის დამშვიდება სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე ირაკლი მეძმარიაშვილმა ამოდ სცადა.

სპორტის აკადემიის რექტორმა, აღმასკომის წევრმა ომარ გოგიაშვილმა ყიფიანს მიმართა.

— დათო, რომ ამბობ, რეზო დარჩეს მწვრთნელის პოსტზეო, ხომ იცი, ეს შენ დიდ პასუხისმგებლობას გაკისრებს. მართლაც რომ დავტოვოთ რეზო და ვერ გაამართლოს, მერე სათქმელი იქნება, ყიფიანს დავუჯერეთ და ძოძუაშვილს პოსტი ამიტომ შევუნარჩუნეთო. შენ შეგიძლია იმის თქმა, რომ ძოძუაშვილის ხელში ნაკრები ისევე არ ითამაშებს, როგორც უნგრეთში?

— მე ამას გეტყვით, დარწმუნებულიც ვარ, რომ რეზოს ხელში დღევანდელი შემადგენლობის 50-60 პროცენტი აღარ იქნება ნაკრებში. რეზო გუნდს მნიშვნელოვნად, როგორც ვთქვი, სანახევროდ გადაახალისებს. რა იცით, მიეცით ამ კაცს თავის გამოჩენის საშუალება. არიან ახალგაზრდა, ნიჭიერი ბიჭები და ეგებ ძოძუაშვილმა ისინი გამოიყენოს. იქნებ მისი მწვრთნელობისას ათამაშდეს გუნდი — იყო ყიფიანის პასუხი, რის შემდეგაც ძოძუაშვილი კოლეგას გადაეხვია, დათო, მადლობელი ვარ მეგობრობისთვისო, მერე ის სიტყვები თქვა, დასაწყისში რომ ვახსენეთ და აღმასკომის წევრებს და იქ მყოფთ კარი მოგვიხურა, მოგვიხურა და თავადაც კარიხურული დარჩა — ნაკრებში მისი და ყიფიანის დროება დასრულდა. აღმასკომის სხდომა კი მერაბ ჟორდანიას პრესკონფერენციით დასრულდა:

— აღმასკომმა ფედერაციის წინადადება დააკმაყოფილა — ყიფიანი და ძოძუაშვილი ნაკრების მწვრთნელის პოსტიდან გათავისუფლებულნი არიან. აღმასკომის წევრებმა ეს გადაწყვეტილება ერთსულოვნად მიიღეს. არ ვიცი, თქვენ როგორ ფიქრობთ, მაგრამ აღმასკომის წევრებისთვის რევაზ ძოძუაშვილის არგუმენტები, მისთვის ნაკრების მწვრთნელობა შეგვენარჩუნებინა, არადამაჯერებელი იყო. მუშაობისას ორივე მწვრთნელის პასუხისმგებლობა თანაბარი გახლდათ. მე ვიცი გუნდში შექმნილი ვითარება და მერწმუნეთ, ამ ეტაპზე სჯობდა, რომ ორივე მწვრთნელი გაგვეთავისუფლებინა. ისინი ახლაც საუკეთესო ქართველ მწვრთნელებად მიმაჩნია... ეს კი, ალბათ, იმას ნიშნავს, ახალი მწვრთნელი უცხოეთში და რაც შეიძლება მალე უნდა მოვძებნოთ. კარგი იქნება, ნაკრები ამ შესარჩევი ციკლის დარჩენილ სამ მატჩსაც ახალი მწვრთნელის ხელმძღვანელობით თუ ჩაატარებს. ჩემი მწვრთნელობა კი ქვეყანას არ გამოადგება. ეჭვი არ მეპარება, რომ დღეის შემდეგ ჯამარაული და იაშვილი ნაკრებში დაბრუნდებიან.

პრესკონფერენცია სულ 10-15 წუთი გაგრძელდა. ჟორდანიამ სათქმელი მოკლედ და კონკრეტულად თქვა და ახლა კვლავაც ახალ მწვრთნელზე ფიქრი მოუწევს. ამბობენ, რომ ყიფიანისა და ძოძუაშვილის შემკვიდრე ნაღდად უცხოელი იქნებაო. ვნახოთ...

**კოტა ინასარიძე**

**გურამ დოლენჯაშვილის ფოტოები**

# ახალი მწვრთნელი

ახლა ჩვენს ფეხბურთში ისეთი ვითარება შეიქმნა, რომ სხვა გამოსავალი აღარ არის — ნაკრებისთვის მწვრთნელია საძებარი.

დავით ყიფიანი გადადგა, რევაზ ძოძუაშვილი გადააყენეს. ამ ციკლის სამ დარჩენილ მატჩში საქართველომ ან უმწვრთნელოდ უნდა ითამაშოს, დროებითი თავკაცის ხელმძღვანელობით, ან იპოვოს მწვრთნელი, რომელიც ციკლსაც ჩაამთავრებს და ახალ ციკლებშიაც გაუძღვება გუნდს.

ჩვენთვის საინტერესო ის უნდა იყოს, თუ სად ეძებს ფეხბურთის ფედერაცია მწვრთნელს. ნაკრები ხომ დიდხანს ვერ იქნება მესაჭის გარეშე, ცხადია.

რაც დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთი არსებობს, მწვრთნელის ძებნით დიდად არავინ შეწუხებულა: ნაკრების სათავეში 70-იანი, 80-იანი წლების „დინამოს“ ვარსკვლავები ხვდებოდნენ. გამონაკლისი ორი იყო — დიდი ქართველი მწვრთნელი გიგა ნორაკიძე და ღრიალა ჰოლანდიელი იოჰან ბოსკამპი. ეს ორი უკანასკნელი ყველაზე ხანმოკლე მესაჭენი იყვნენ.

გავრილ კაჩალინი

ანრი მიშელი

როგორც ადრე, ახლაც შეგვიძლია ვთქვათ, რომ კარგი იქნებოდა საქართველოს ნაკრებისთვის უცხოელს ეხელმძღვანელა, თუმცა, ჩვენში უკვე არსებობს უცხოელთა გვარიანი სიძულვილი და უნდობლობა მათ მიმართ. იგივე ბოსკამპიც ამის მაგალითადაა დასახული — ხომ ნახეთ რა ხეირი დაგვაყარა და თან დებილებს გვეძახდაო. ბოსკამპი ბევრი რამის მაგალითად გამოდგება, რადგან სამაგალითო კაცი სულაც არ იყო.

მაგრამ მას მეტი სარგებლის მოტანა შეეძლო. უბრალოდ, ჩვენ ვერ გაგვირკვევია, გვინდა თუ არა რაიმე სარგებელი, როცა უცხოელი მოგვყავს და ვცდილობთ, თუ არა, რომ მოსული მწვრთნელის ხელში ვივარჯიშოთ და ვითამაშოთ. უკვე დამღლელია ამის გამეორება, რომ ამას კარგად ახერხებენ მორაგბეები.

თბილისის „დინამოს“ პირველი მწვრთნელი ჩეხი იყო, ჟიულ ლიმბეკი. თბილისის „დინამომ“ პირველი ჩემპიონობა რუსი გავრილ კაჩალინის ხელში მოიგო, მიხეილ ბუტუსოვი, მიხეილ იაკუშინი, გერმან ზონინი რუსები იყვნენ და „დინამოს“ წვრთნიდნენ. ამით ქვეყანა არ დაქცეულა.

დღესაც გვჭირდება უცხოელი მწვრთნელი, მაგრამ ვინ?

ეგებ, ეს სახუმაროც იყოს, მაგრამ ყველაზე საინტერესო მომენტები ჩვენი ნაკრების ცხოვრებაში მაშინ დგება, როცა ნაკრების მორიგი მწვრთნელის დანიშვნის საკითხი წყდება. საინტერესოა ხოლმე, ვინ იქნება ახალი, რომელ ფეხბურთელებს გამოიძახებს და ა.შ. უფრო ხშირად, ყოველი ახალი, კარგად დავიწყებული ძველია ხოლმე, მაგრამ ამ ათ წელიწადში არ ყოფილა მომენტი, როცა ნაკრების თამაში თვისობრივად შეცვლილიყოს, გუნდს ნაბიჯი მაინც აეჩქარებინოს, მოგება მნიშვნელოვანი და გადამწყვეტი ყოფილიყოს, რაიმე პერსპექტივა გამომკრთალიყოს.

ერთგვარი სითამამე ნაკრებს ბოსკამპის დროს ეტყობოდა, თუმცა იმ გუნდსაც რაღაც სანახევროობის სენი შეჰყროდა. ეს იყო მხოლოდ, რომ ღირებული ახალბედები და ჟინი გამოჩნდა. სხვა მხრივ, ნაკრების ათწლიანი ბირთვიც არანაირ განწყობილებრივ ცვლილებას არ განიცდის და ვართ ასე.

თუკი კვლავ უცხოელის მოწვევაზე იქნება ლაპარაკი, ეგებ ჩვენი გუნდისთვის საჭირო კაცი მოგზაურ მწვრთნელთა შორის გვეძებნა მისამართები ნაცნობია, ჰოლანდია, საფრანგეთი და ბრიტანეთი. ჯო ბონფრერე, რუდი კროლი, ანრი მიშელი, კლოდ ლერუა, პიტერ უიფი, სტივ ჰერიმენი... ეს დაკავებული ხალხია აფრიკასა და აზიაში, მაგრამ მათი ტიპის, მოგზაურ სანაკრებო მწვრთნელებს განსაკუთრებული ნიჭი აქვთ აუწყობელი, რთული, ხშირად უტრადიციო ქვეყნებში მუშაობისა. მაინც საფიქრებელია, რომ ველოსიპედის გამოგონება საჭირო არ არის, გზა გაკვალულია. ერთადერთი ისაა საქმე, რომ მწვრთნელს გადაუხადო. შედეგი მოითხოვო და სხვაფრივ თავი დაანებო, ანუ როგორც პოლიტიკოსები ამბობენ ჩვენში, მისცე მუშაობის საშუალება.

თუკი, მწვრთნელს პოსტსაბჭოთა სივრციდან მოიწვევენ, ოლეგ ბლოხინისნაირ კაცს მივემხრობოდი. თუმცა, ბლოხინი კონფლიქტური კაცია, მაგრამ სხვებს მაინც ისა სჯობს. ეს ნაღდად უტოპიური ლაპარაკია, რადგან ამგვარი კანდიდატურის განხილვა დღევანდელ პირობებში წარმოუდგენელია.

**ირაკლი გამყრელიძე**

## იტალია

თასის ფინალი. II მატჩი. 40 000 მაყურებელი

**ფიორენტინა 1:1 პარმა (1:0)**

0:1 მილოშევიჩი (38), 1:1 ნუნუ გომეში (65)

ტოლდო, რეჯეკა, ადანი, პიერინი, მორეტი (ნუნუ გომეში 45), როსი, დი ლევიო, ამარალი, ვანოლი (ბრეშანი 76), რუი კოშტა, კიეზა (ლასისი 89)

გუარდალბენი, ტურამი, სენსინი, კანავარო, სარტორი (ფუზერი 71), ალმეიდა (აპია 82), ლამუჩი, ჟუნიორი, მიკუ (მბომა 85), მილოშევიჩი, დი ლევიო

ნუნუ გომეშის ამ გოლმა „ფიორენტინას“ თასი მოაგებინა

## დანია

XXXIII ტური

ოლბორგი 2:0 ლიუნგბიუ

ბრონდბიუ 2:1 ვიბორგი

აკადემისკი 1:1 ბიდვიულანდი

ალბორგსენი 2:2 ორჰუსი

ოდენსე 0:1 კოპენჰაგენი

სილკებორგი 1:2 ჰერფოლგი

## შვედეთი

X ტური

აიკ 2:3 ჰალმსტადი

## ჰოლანდია

პლეი ოფი

A ჯგუფი

IV ტური

სიტარდი 3:1 ვოლენდამი

ტელსტარი 1:1 ზვოლე

პლეი ოფი

B ჯგუფი

V ტური

სპარტა 2:0 კამბური

ექსელსიორი 3:3 იგლსი

# ჩვენ უკვე ვიყავით, ჩვენ კიდევ ვიქნებით!

## დინამო და გივი ნოდია ჩემპიონობის გახსენებას აპირებენ

**თბილისის „დინამოს“** დღესაც განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ქართულ ფეხბურთში. ამ კლუბის ფუნქცია მრავალშრიანია. დღევანდელ ეტაპზე კი მთავარი ალბათ მაინც ისაა, რომ ეროვნულ ნაკრებს კარგი ფეხბურთელები აღუზარდოს. „დინამოს“ ამის ტრადიციაც აქვს და შესაძლებლობაც. დიდი გამარჯვებისთვის კი „დინამო“ ჯერაც არაა მზად.

ბოლო წლებში ალმა-დაღმა წარიმართა კლუბის საქმეები. „დინამო“ ფულის და ათასგვარი მითქმა-მოთქმის გამომჭრელ მანქანას დაამსგავსეს. ბევრი საინტერესო ფეხბურთელი წავიდა გუნდიდან, ბევრის წინსვლა დამუხრუჭდა. „დინამომ“ ტიტულები და ურყევი ბატონობაც დაკარგა საქართველოში.

გასულ სეზონში კი რევაზ არველაძე მოვიდა გუნდის მთავარ მწვრთნელად. ახლებურად ათამაშდა „დინამო“, უფერული სტარტის შემდეგ ზედიზედ რვა თამაშიც მოიგო ჩემპიონატში (მეთორმეტე ეროვნულისთვის ეს რეკორდია), მაგრამ უფულობამ თავისი გაიტანა, საგაზაფხულო ეტაპისთვის თორმეტმა ფეხბურთელმა დატოვა „დინამო“.

დაგვიანდა კლუბის რეგისტრაცია, სრულფასოვნად ვერ მოემზადა გუნდი სეზონის განახლებისთვის, ეგაა, ერთიორი წამყვანი ფეხბურთელი შეინარჩუნა და გამოუცდელი ახალგაზრდები დაიმატა. სამაგიეროდ, გამოჩნდა პატრონი, ფული და იმედი, რომ „დინამო“ ღირსეულად ჩაამთავრებდა ჩემპიონატს.

ისიც უნდა ითქვას, მეთორმეტე ეროვნულში რევაზ არველაძის სახით ერთობ უნარიანი დებიუტანტი მწვრთნელი ვიხილეთ, თუმც კლუბის პრეზიდენტად დანიშვნას შემდეგ არველაძემ მწვრთნელობაზე უარი თქვა და „დინამოში“ კიდევ ერთ ახალბედა დამრიგებელს, მანამდე არველაძის თანაშემწეს ჩაბარდა — გოჩა ტყებუჩავამ საქმეს კარგად გაართვა თავი, გუნდს მესამე ადგილი და უეფას თასის საგზური მოაპოვებინა.

ცხადია, ახალ სეზონში უფროსობა და გულშემატკივრები უფრო მეტს მოსთხოვენ „დინამოს“. ამისთვის გუნდი აუცილებლად უნდა გაძლიერდეს ფეხბურთელებით, თუმც კლუბის თავკაცობა ჯერ მთავარი მწვრთნელის საკითხის გადაჭრას შეუდგა. იყო რამდენიმე ვარიანტი, მათ შორის უცხოელი სპეციალისტის მოწვევის...

გუშინ კი ყველაფერი გაცხადდა და ოფიციალურად გაფორმდა — თბილისის „დინამოს“ მთავარ მწვრთნელად **გივი ნოდია** დაინიშნა. მას გოჩა ტყებუჩავა და ნიკა ჩხეიძე დაეხმარებიან.

„დინამოს“ ახალ დამრიგებელს გუშინვე ვესაუბრეთ.

ძველმა მეგოლემ „დინამოს“ თავისი უნდა გაატანინოს

— მე და რევაზ არველაძეს ძალიან კარგი ურთიერთობა გვაქვს. წინადადებას სიამოვნებით დავთანხმდი.

**— თქვენ ადრეც, 1993-94 წლებშიც თავკაცობდით „დინამოს“, თუმც ახლა გუნდში განსხვავებული ვითარებაა. როგორ უყურებთ თქვენი და „დინამოს“ მომავლს?**

— მას შემდეგ მართლაც ბევრი რამ შეიცვალა. რევაზ არველაძემ, გოჩა ტყებუჩავასთან და ნიკა ჩხეიძესთან ერთად, გასულ სეზონში რთული გზა გამოიარა, გუნდი ფეხზე დააყენა. მათ კარგი საფუძველი შექმნეს „დინამოს“ აღზევებისთვის, ამისთვის სერიოზული ნაბიჯები გადადგეს. მომავალშიც ასე უნდა მოხდეს, „დინამოს“ შტაბი მხოლოდ წინსვლისთვის იზრუნებს.

**— „დინამოში“ ხელმეორედ მოხვედით, როგორც მწვრთნელს, ამბიციების დაკმაყოფილების შანსი გეძლევათ — 1993 წელს „ტროლთან“ სტუმრად 1:5 დამარცხება, ალბათ, ახლაც ხინჯად გაქვთ.**

— უეფას თასზე ჩემმა გაწვრთნილმა „დინამომ“ ევქსი მატჩი ჩაატარა და აქედან ხუთი ბრწყინვალედ. ეს თამაშები ახლაც თვალწინ მიდგას. სამწუხაროდ, „ტროლთან“ დიდი ანგარიშით დავმარცხდით, თუმც ამას თავისი ობიექტური და სუბიექტური მიზეზები ჰქონდა, მისი დეტალური გარჩევა ახლა არ ღირს. ისე კი, იმდროინდელი დინამოელები მართლაც გამორჩეულნი იყვნენ. მოხარული ვარ, რომ მათთან მუშაობა მომიწია. იმ თაობიდან დაახლოებით 70-პროცენტმა შეძლო წამყვანი ევროპული ქვეყნების კლუბებში თამაში.

**— დღევანდელ „დინამოზე“ რას იტყვით, რისი მიღწევა შეუძლიათ ამ ფეხბურთელებს?**

— ეს საკმაოდ ნიჭიერი ახალგაზრდობაა, თუმც მთლად კარგად გუნდს ჯერ არ ვიცნობ — ახლანდელ დინამოელებზე დაკვირვებამ ხომ მხოლოდ ჩემპიონატის საგაზაფხულო ეტაპზე მომიწია, როცა რუსეთიდან დავბრუნდი. ვეცდები, მათი სათამაშო დონე ამაღლდეს. მწვრთნელის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა, ნიჭიერი ფეხბურთელი სწორი გზით წაიყვანოს, შესაძლებლობა მისცეს და დაეხმაროს, მაქსიმალურად გამოავლინოს ნიჭი.

**— გასაგებია, მაგრამ როცა კლუბის ხელმძღვანელობა მთავარ მწვრთნელს ნიშნავს, მისგან შედეგსაც ითხოვს...**

— კონკრეტული მიზანი ერთია — შემადგენლობის გაძლიერება და მხოლოდ და მხოლოდ ჩემპიონობა.

**— უეფას თასზე რას გეგმავთ?**

— აქ გაგვიჭირდება, ამ ტურნირზე ხომ სულ სხვა დონის გუნდებთან მოგვიწევს ბრძოლა, ამიტომ რაიმეს დაგეგმვა ძნელია.

**— შემადგენლობის გაძლიერების მხრივ კონკრეტულს ვერაფერს გვეტყვით? ჯერ არ გყავთ შეგულებული ფეხბურთელები?**

— ამ მხრივ „დინამოს“ ჩემს მოსვლამდეც ჰქონდა სამუშაო ჩატარებული. მეც მაქვს ჩემი შეხედულებები, რომლებიც საერთო ჯამში ემთხვევა კიდეც მათსას. ახალი ფეხბურთელების ვინაობას მალე შეიტყობთ. ისე კი, საქართველოს ჩემპიონატში მოთამაშე კარგი ფეხბურთელებით განებივრებულები ნაღდად არ ვართ.

**— ბოლო დროს „დინამომ“ დაკარგა თავის რბილი, ტექნიკური სტილი. გუნდი ათჯერ გახდა ქვეყნის ჩემპიონი, მაგრამ ხშირად წარმატებას უკეთესი პირობების და აქედან გამომდინარე, უკეთესად მომზადებული ფეხბურთელების ხარჯზე აღწევდა, თორემ მოთამაშეთა სისტემატური მიგრაციის გამო ოსტატობითა და გამოცდილებით ისევ ვერ დაიკვეხნიდა. როგორი სტილით ითამაშებს გივი ნოდიას „დინამო“?**

— რაც შეეხება პირობებს, რატომღაც ბევრს ჰგონია, რომ ეს მხოლოდ ხელფასებსა და პრემიებს ნიშნავს. კარგი მატერიალური ტექნიკური ბაზაც მალე ჩვენს განკარგულებაში იქნება — დიღმის ბაზაზე რემონტი აგვისტოსთვის დამთავრდება. ფულის გარდა ესეც აუცილებელია.

რაც შეეხება სათამაშო სტილს, ჩემი პრინციპი ასეთია — ბურთის დაკარგვის შემთხვევაში სწრაფად უნდა ვეცადოთ მის დაბრუნებას და როგორც კი მოვიპოვებთ, რაც შეიძლება მაქსიმალური სისწრაფეები ჩავრთოთ და შევუტიოთ.

მაგრამ აქ ერთიცაა — მოთამაშეთა კონტინგენტმა ასეთი ფეხბურთის თამაშის საშუალება უნდა მოგვცეს.

**— „დინამოს“ უკვე ჰყავს ლიდერები თითქმის ყველა სათამაშო რგოლში, ისეთი მოთამაშეების მოწვევას შეეცდებით, რომლებსაც ამ ლიდერებზე უფრო ენდობით და დაეყრდნობით?**

— ვფიქრობ, ლიდერობის მოპოვება ძალიან ძნელია, მაგრამ შენარჩუნება კიდევ უფრო რთული. ასე რომ, ზარაქიშვილს მხოლოდ ყოველდღიური შრომითა და კარგი თამაშით მოუწევს ლიდერობის შენარჩუნება. რაც შეეხება, იმას, თუ ვის დავეყრდნობით, ამაზე ჯერ ადრეა ლაპარაკი.

**მაშინ ასე დაგისვამთ კითხვას — „სარბიელმა“ ახლახან ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელის გამოსავლენად ჟურნალისტთა გამოკითხვა ჩაატარა, ეთანხმებით მასმედიის აზრს?**

— მთელ რიგ ქვეყნებში საუკეთესო ფეხბურთელის გამოსავლენად მწვრთნელთა და თვით ფეხბურთელთა გამოკითხვაც ტარდება და უმეტეს შემთხვევაში მათი აზრი მთლიანად ემთხვევა ჟურნალისტებისას. „სარბიელის“ წლევანდელი გამოკითხვის შედეგებს მეც ვეთანხმები.

**— თქვენი წინამორბედის, გოჩა ტყებუჩავას ხელში „დინამო“ ზედიზედ ორ ბრძოლ გუნდად იქცა. თუ რამეს მიაღწია „დინამომ“ მეთორმეტე ეროვნულში პირველ რიგში შეუპოვრობისა და ბრძოლის ჟინის ხარჯზე...**

— მიგზვდი, რისი თქმაც გსურთ. ვისაც ჩემი თამაში ახსოვს, დამეთანხმება, თუკი რამ კარგი თვისება მქონდა, სწორედ შემართების და ბრძოლისუნარიანობის, სწორი მოძრაობის შედეგად. რა თქმა უნდა, ბრძოლის განსაკუთრებული ჟინი, რაც „დინამომ“ გასულ სეზონში გვიჩვენა, უნდა შევინარჩუნოთ.

**დავით თამართქილაძე**

# მუმუმ რუსლანს დაუთმო...

## მუჯირმა და თარხნიშვილმა „ზიმბრუს“ ბატონობა დაამხეს

**სამშაბათს** „შერიფმა“ შინ, ტირასპოლში 2:0 მოუგო „აგროს“ და პირველად გახდა მოლდოვის ჩემპიონი. მოგეხსენებათ, „შერიფში“ ჩვენებურები ვაჟა თარხნიშვილი და დავით მუჯირი თამაშობენ.

სამი კვირის წინ დნესტრისპირულმა „შერიფმა“ მოლდოვის თასიც მოიპოვა. გუშინწინ კი დუბლი გაიფორმა.

„აგროსთან“ ანგარიში ნიკერიელმა ედვარდ ანიამკემ გახსნა. მეორე მოლდოვის ნაკრების შემტევმა რუსლან ბარბეროშმა გაიტანა პენალტით, მას შემდეგ, რაც საჯარიმოში მუჯირი წააქცევს.

საინტერესოა, რომ მუჯირს თავად სურდა თერთმეტმეტრიანის დარტყმა, მაგრამ ბარბეროშმა სთხოვა და თავად გაიტანა. შედეგად, 17-17 გოლით ბარბეროში და მუჯირი ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირები გახდნენ.

ლამის მარადი ჩემპიონი, ლევან გვაზავას და ლადო ახალაიას „ზიმბრუ“ მეორე ადგილს დასჯერდა. მოლდოვის ჩემპიონატები 1992 წლიდან იმართება. გასულ ათ ტურნირში ერთხელ „კონსტრუქტორულმა“ იმარჯვა (1997), ერთხელაც, როგორც ვთქვით, „შერიფმა“, დანარჩენი რვა ტიტული კი „ზიმბრუსია“.

საქართველოსი არ იყოს, აქცენტი, ეტყობა მოლდოვურ ფეხბურთშიც იცვლება.

როცა ჩემპიონატის საგაზაფხულო ნაწილი დამთავრდა, ვითარება ისეთი იყო, ცვლილებას არავინ ელოდა. „ზიმბრუ“ „შერიფს“ ცხრა ქულით უსწრებდა, თანაც ტირასპოლში დამაჯერებლად გაემარჯვა. მაგრამ მერე როლები შეიცვალა. კიშინიოვის გუნდმა ქულების კარგვა დაიწყო, ალექსანდრ კურტიანუ ეგრეც ვერ ათამაშდა, ხოლო მეორე ლიდერი იონ ტესტიმიცანუ კორეაში გადაბარგდა. შედეგად, კლუბის ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ რამდენიმე ფეხბურთელს აუცილებლად დააყენებდა ტრანსფერზე, ჩემპიონობას მიეჩვივნენ და სტიმული აღარ აქვთო.

ტირასპოლური კლუბი კი სულ უფრო ძლიერდება. შარშან ვერცხლის მედლები მოიგეს, წლეულს კი „ზიმბრუც“ დაამხეს.

მოლდოველი ჟურნალისტების აზრით, ვლადიმირ ზემლიანის გუნდის წარმატება უმთავრესად ქართველ მუჯირს უკავშირდება. დათო არა მარტო „შერიფის“, არამედ მოლდოვის ლიგის საუკეთესო ფეხბურთელია. მისი წყალობით კარგად თამაშობენ თავდამსხმელებიც, რუსლან ბარბეროში, ედვარდ ანიამკე და ვიაჩესლავ ბუგნიაკი. არადა, ბარბეროშმა და ბუგნიაკმა სეზონი სხვა კლუბებში დაიწყეს, შუა სეზონში წასვლას აპირებდა ანიამკე, მაგრამ დარჩა და არც წაუგია. „შერიფში“ კარგი ფინანსური მდგომარეობაა, მალე ტირასპოლის გარეუბანში ახალი თანამედროვე სტადიონიც გაიხსნება თავისი საწვრთნელი ბაზით.

მოლდოვის ჩემპიონები: ვაჟა თარხნიშვილი და დავით მუჯირი

გაისად მოლდოვის უმაღლეს ლიგას კიდევ ერთი დნესტრისპირული გუნდი, კამენკის „ჰეფი ენდი“ დაემატება და თუ მოარულ ხმებს დავუჯერებთ, კიშინიოვის „აგროც“ ტირასპოლში გადაბარგდება. გამოდის მოლდოვის საფეხბურთო ცენტრი მართლაც დნესტრისპირეთში ინაცვლებს.

**სოლომონ გულისაშვილი**

# სიგიჟე იტალიურად

ლილიან ტურამი (მარჯვნივ) რომში ომით იმუქრება

## იტალია

### ჩაწყობილია ყველაფერი?

**კვირას** იტალიაში ჩემპიონის ვინაობა გაირკვევა: რომში, „სტადიო ოლიმპიკოზე“ „რომა“ „პარმას“ უმასპინძლებს და თუ დაამარცხებს „სკუდეტო“ მისია. ფრე რომაელებს ხელს არ აძლევს — „იუვენტუსმა“ „ატალანტას“ თუ მოუგო, გადათამაშება მოუწევს, დამარცხებაზე კი, ცხადია, ლაპარაკიც ზედმეტია.

მაგრამ „პარმას“ ამ ჩემპიონატისგან აღარაფერი უნდა. ჩემპიონთა ლიგაში თამაშის უფლება განაღდებული აქვს, უკეთესს კი ველარაფერს შეძლებს. ასე იყო წინა ტურშიც, როდესაც პარმელებმა შინ „ვერონასთან“ წააგეს და ვერონელთა კონკურენტის, „ნაპოლის“ ბანაკიდან დიდი ამბავიც ატყდა — მეტოქეები გარიგებულნი იყვნენო.

ერთი სიტყვით, იშვა ეჭვი, რომ „პარმა“ „რომას“ წინააღმდეგობას არ გაუწევს.

„ჯერ კიდევ „ვერონასთან“ თამაშის წინ დაიწყეს რაღაც სამაგლობების ლაპარაკი, ფედერაციამ კი წაუყრუა, რაც, მე თუ მკითხავთ, სერიოზული შეცდომა იყო“ — ამბობს პარმელთა ფრანგი მცველი, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი ლილიან ტურამი — „წაყრუებამ ის მოიტანა, რომ ხალხის ნაწილმა ამ თემაზე ლაპარკი ნებადართულად ჩათვალა, ამან კი ჩემს ღირსებას შეურაცხყოფა მიაყენა. ნებისმიერი, ვინც ასეთ რაღაცეებზე ჭორაობს, პროფესიული ფეხბურთის ავან-ჩავანში სრულიად ჩაუხედავია და ჩვენს საქმეს ჩირქს სცხებს. ბუნებრივია, „რომამ“ საუცხოო სეზონი ჩაატარა, მაგრამ წინ ერთი მატჩი კიდევ აქვს და კარგად გვესმის, რომ „სკუდეტოს“ მოსაპოვებლად იმ მატჩში გამარჯვება სჭირდება. ამასთან დაკავშირებით კი აი, რას გეტყვით: ჩვენი მხრიდან, ამ მატჩში უჯიგროდ თამაში სხვა, ბოლომდე მებრძოლი გუნდების უპატივცემულობა იქნება“.

ტურამის თანაგუნდელი, იტალიის ნაკრების ვარსკვლავი ფაბიო კანავარო კი, როგორც ნეაპოლელი „ნაპოლის“ პრეზიდენტის, ჯორჯო კორბელის ეჭვებს უკეთებს კომენტარს:

„კორბელის ლაპარაკისგან თავი უნდა შეეკავებინა, რადგან ჩვენი და „ვერონას“ შეხვედრა ნანახი არ ჰქონდა. თამაშის ნახვა კი უხერხულ მდგომარეობას აარიდებდა, დარწმუნდებოდა, რომ ჩვენ გამარჯვებისთვის ყველა ღონე ვიხმარეთ. ასევე მოვიქეცით რომში. ნუ დაგვავიწყდება, რომ წინა ორ ჩემპიონატში, „მილანმა“ და „ლაციომ“ ტიტული ბოლო ტურებში იმიტომ მოიგო, რომ ყველა პატიოსნად თამაშობდა“.

### ვაი!

„გაძეტა დელო სპორტი“, ცნობილი და პატივცემული გაზეთი, კიდევ უფრო მეტად უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა, ვიდრე ჯორჯო კორბელი — ორშაბათს, იტალიის მოსახლეობამ შეიძინა გაზეთი, რომელშიც რვა გვერდზე „რომას“ ჩემპიონობას ულოცავდნენ და ზეიმობდნენ.

„გაძეტას“ კონკურენტის, „კორიერე დელო სპორტის“ განმარტებით, ასეთი ეგზემპლარები უმეტესად პარმაში და სარდინიაზე გავრცელდა. თავად მილანური გაზეთის დირექტორმა, კანდიდო კანავომ კი მომხდარი ასე ახსნა: „ჩვენს ქვეყანაში გაზეთების გავრცელების 45 ათასი პუნქტია. თავად გავრცელების სისტემა ძალიან რთული გახლავთ და რაღაც წარმოუდგენელი მიზეზით, წინასწარ მოშზადებული ჩანართი გავრცელდა. ჩვენ ძალიან ვწუხვართ და ბოდიშს ვიხდით“.

### გაღიზიანებული

**რომას** ფორვარდი ვინჩენცო მონტელა კი ბოდიშს სხვა რამეზე იხდის.

„ბოდიშს ვიხდი ნეაპოლში ჩადენილისთვის. ფაქტია, რომ ცუდი მაგალითი მივეცი ახალგაზრდებს. ყველაფერი კი იმიტომ დამემართა, რომ სათადარიგოთა სკამზე ვიჯექი, გუნდს ვერაფრით ვეხმარებოდი და მერე, მოედანზე გასვლის წინ მოთვლეა გამიჭიანურდა, ნერვები მომეშალა. ეს კი ტელეოპერატორებმა შენიშნეს და გადაიღეს. ვიმეორებ, ძალიან ვწუხვარ. მე ასეთი ქცევა არ მჩვევია“.

ახლა გავიხსენოთ, რა მოხდა: მონტელა მოედანზე მხოლოდ ექვსი წუთით შეუშვეს, მანამდე კი, როდესაც ანგარიში გახლდათ 2:1 „რომას“ სასარგებლოდ, მწვრთნელმა ფაბიო კაპელომ თავდამსხმელი მარკო დელვეკიო მცველით, კრისტიანო ძანეტით შეცვალა. ამან, ფორვარდი გააღიზიანა. ის წამოხტა, მინერალური წყლის ბოთლს დასტაცა ხელი და, როგორც ამბობენ, კაპელოს ცხრასართულიანი შეაგინა.

მატჩის მერე მონტელას და კაპელოს ერთმანეთი გვარიანად ულანძღია.

ახლა, მონტელა ამბობს, რომ ყველაფერი დამთავრებულია და მხოლოდ კვირას, „პარმასთან“ შეხვედრაზე ფიქრობს.

„რაც მოხდა ნეაპოლში, „სან პაოლოზე“ დარჩა. ახლა ჩვენ ყველა მხოლოდ „პარმას“ დამარცხებაზე ვფიქრობთ. მნიშვნელობა არ აქვს რა შემადგენლობით ვითამაშებთ, მთავარია „რომამ“ მოიგოს და მთელი სეზონის ნაჯაფი დაგვიფასდეს“ — დასძენს მონტელა.

იხე კი საინტერესოა, ამ თავდამსხმელს მიმდინარე სეზონში 12 გოლი აქვს გატანილი, არადა, სრულიად მხოლოდ სამი შეხვედრა აქვს ჩატარებული. ამ 12-დან 7 შეცვლაზე შესულმა შეაგდო.

### ზედმეტი ბილეთი არ გაქვთ?

არა, ზედმეტი ბილეთი არავის აქვს — კვირისთვის, „რომასა“ და „პარმას“ შეხვედრაზე დასასწრები ბილეთები იტალიის დედაქალაქის ცენტრში, ორ საათზე ნაკლებში გაიყიდა. ეს სამშაბათს მოხდა.

„ჩვენ აქ 48 საათია ვდგავართ. „რომასა“ მაღაზიასთან გვეძინა, სადაც სპეციალური მარკები მივიღეთ, მეორე დღეს კი ამ მარკებით სტადიონს მივაშურეთ და ბილეთი ვიყიდეთ“ — თქვა ერთმა გულშემატკივარმა.

მეორემ დასძინა: „მარმარილოს ფილაზე ძილი ძნელი ყოფილა“.

**ბაბუნა კიდია**

ვინჩენცო მონტელა

# ეგებ მეხუთეც?

## ექტორ რაულ კუპერმა ოთხი ფინალი უკვე წააგო

ექტორ რაულ კუპერი

## ესპანეთი

**როცა** ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამ სვენ გორან ერიკსონი ნაკრების მწვრთნელად დანიშნა (შვედი მუშაობას 1 ივლისიდან უნდა შესდგომოდა), რომაელმა ქომაგებმა ერთი ამბავი ატეხეს, ერიკსონი აწი მხოლოდ ინგლისზე იფიქრებს და „ლაციოში“ საქმეებს მიაფუჩეჩებსო.

მართლაც ასე მოხდა და „ლაციოს“ პრეზიდენტმა სერჯო კრანიოტიმ, ივლისამდე ეს კაცი დაგვლუპავსო და სასწრაფოდ გაისტუმრა ინგლისში.

ერიკსონის ამბავი იმიტომ გავიხსენეთ, რომ ექტორ რაულ კუპერისა გვეთქვა.

კუპერი „ვალენსიაში“ ბოლო დღეებს ითვლის და, ალბათ, ისევე ფიქრობს „ინტერზე“, როგორც ერიკსონი ფიქრობდა ინგლისის ნაკრებზე. მართალია, თავად განაცხადა, ამ დროისთვის „ვალენსიას“ ჩემპიონთა ლიგაში გაყვანის გარდა არაფერი მაინტერესებსო, მაგრამ ვივარაუდოთ, რომ ძილის წინ ერთხელ მაინც გაუელვებს ფიქრი ძილანში გამგზავრებაზე.

რაც აქამდე ვთქვით, ისე, სიტყვას მოჰყვა, თხრობის მთავარი მიზეზი კი ისაა, რომ კვირას „კამპ ნოუზე“ გაიმართება მატჩი, რომელიც ისეთივე დაძაბული იქნება, როგორიც შემოდგომაზე, იმავე სტადიონზე გამართული „ბარსელონა“ — „რეალი“ იყო — ლუიშ ფიგუს პირველი დაბრუნება ბარსელონაში, „რეალში“ გადასვლის შემდეგ.

ამ კვირას ზიზღი ნაკლები იქნება, ფაქტობრივად, არც იქნება, რაკი „ვალენსიაში“ ფიგუსნაირი არავინაა, მაგრამ იქნება ნაღდი ბრძოლა და ერთ-ერთი გუნდისთვის სასოწარკვეთა — ვიღაცა ჩემპიონთა ლიგას გამოეთხოვება.

არადა, ისტერიული აჟიოტაჟი, ამ მატჩს რომ უძღვის, ეგებ არც ყოფილიყო. ამის გაკეთება ძალიან იოლი იყო — წინა ტურში, „მესტალიაზე“, „ვალენსია“ — „დეპორტივოს“ შეხვედრის, 69-ე წუთზე ფაბიან აიალას მეკარისთვის პასი არ უნდა მიეცა. ხომ ძალიან მარტივია? აიალამ კი გადაწყვიტა, რომ სანტიაგო კანისარესისთვის ბურთის უკან დაბრუნება სწორი იყო და დაუბრუნა. უფრო სწორად კი, უნდოდა დაებრუნებინა, მაგრამ პასი რიო მაკაიმ ჩაჭრა, რითაც „დეპორტივომ“ 1:0 მოიგო. ეს ვალენსიელთა ერთადერთი შეცდომა გახლდათ. 0:0-ზე „ვალენსია“ ჩემპიონთა ლიგაში იჯდა.

ახლა ვიკითხოთ, იყო თუ არა „ვალენსიასთვის“ ის მატჩი ფინალის ტოლფასი. ვფიქრობთ, იყო, რაკი რაა ფინალი, თუ არა რაღაცისთვის ბრძოლაში გადამწყვეტი მატჩი. და ექტორ რაულ კუპერმა ეს ფინალიც წააგო.

თუ შეგვიძლია, „დეპორტივოსთან“ მატჩს ფინალი ვუწოდოთ, ამ კვირას „კამპ ნოუზე“ გასამართი მატჩისთვის ეს სიტყვა მით უფრო უპრიანია.

„ბარსელონას“ წინააღმდეგ მატჩი ჩვენთვის ფინალია“ — სწორედ ასე თქვა კუპერმა.

ოღონდ ერთიცაა, ჩვეულებრივ ფინალებში მოგებაა საჭირო, „ვალენსიათვის“ კი ამ შემთხვევაში ფრეც კმარა. და მართალია, კუპერმა „დეპორტივოსთან“ თამაში დათმო, მაგრამ ის არწაგების ოსტატი უფროა, ვიდრე მოგების.

„ბარასთან“ ფრეც ხელს გვაძლევს, მაგრამ მოგების წყურვილით ვითამაშებთ“ — ამგვარი განწყობით ჩადის კუპერი ბარსელონაში.

ალბათ, ფინალისწინა ისტერიის შედეგია ისიც, რომ „ბარსას“ პრეზიდენტმა ხუან გასპარმა წინასწარვე გამოაცხადა, ჩემპიონთა ლიგაში გასვლა-ვერგასვლის მიუხედავად, კარლოს რექსაჩი გაისადაც მწვრთნელად დარჩებაო.

რექსაჩმა კი თქვა: „ვალენსიას“ შინ დამარცხებამ დიდად გაგვახარა. მთავარი ისაა, რომ ახლა სხვათა შედეგზე აღარ ვართ დამოკიდებული და ჩვენი ბედი ჩვენსავე ხელშია. კვირას მინდორზე იმ განწყობით გავალთ, რომ ფინალს ვთამაშობთ, ფინალია, აბა, რა!“.

ჩვენც ამას არ ვამბობდით?!

**გიორგი დარჯანია**

REUTERS ბრაზილიიდან




ბრაზილია ლუის ფელიპე სკოლარის ჩააბარეს

# ლუის ფელიპე სკოლარი: მოკალით, აქ სკოლა არ არის!

## ბრაზილიის ნაკრების ახალი მწვრთნელი პროფესიით ყასაბია

**ბრაზილიის** ნაკრების მთავარი მწვრთნელის, ემერსონ ლეაოს სურვილი, გუნდიდან წასულიყო, დაკმაყოფილებულია. ლეაო აღარაა ტეტრაკამპეონების მოძღვარი. სამშობლოში ჩასული ჯერ კიდევ თვითმფრინავის ტრაპთან იდგა, თანამდებობიდან უკვე განთავისუფლებული რომ გახლდათ. აეროპორტში მას ჟურნალისტთა არმია ელოდა, მაგრამ პირქუშმა ლეაომ მხოლოდ ერთი ფრაზა გაიმეტა: „მე ბევრი ვიცი, მაგრამ არაფერს ვიტყვი, სანამ ფეხბურთის კონფედერაციის ხელმძღვანელ ტეიშეირას არ გავესაუბრები“.

მხოლოდ ეს იყო. ყოფილმა მწვრთნელმა, რაღაც მუქარისმაგვარი წამოისროლა და საეჭვო რეპუტაციის მქონე რიკარდო ტეიშეირასთან წაიღო ის, რაც ჟურნალისტებს, ბრაზილიური ფეხბურთის ქომაგებს დიდად აინტერესებთ. ტეიშეირა კი ის კაცია, ვის საქმესაც კონგრესის მიერ შექმნილი საგანგებო კომისია იძიებს. მას კორუფცია და ქვეყნის საფეხბურთო სამყაროში არსებული უწესრიგობა ბრალდება. გარდა ამისა, ნაკრებში ემერსონ ლეაოც მისი მიყვანილია.

ლეაოს წასვლამ ბრაზილიელები დიდად გაახარა. გული კი მხოლოდ თითო-ოროლა ფეხბურთელს დასწყდა. ვამპეტა და ედმილსონი თავიანთ გულისტკივილსაც გამოთქვამენ.

რომელიც ნაკრებში თამაშს ლეაოს უნდა უმადლოდეს, უფრო შორსაც მიდის და მწვრთნელისა და ეროვნული გუნდის წარუმატებლობას ბეღის სიმუხთლეს აბრალებს: „გუნდის ცუდი შედეგი მართლაც უიღბლობის ბრალია. ჩვენ ბლომად საგოლე მომენტს ვქმნიდით, მაგრამ არ გვიმართლებდა, მათი უმეტესობა გამოუყენებელი რჩებოდა“.

რაღა თქმა უნდა, ლეაოს რჩეულის ეს სიტყვები ისევე უადგილოა, როგორიც მწვრთნელისა და ფორვარდად წოდებული ვაშინგტონის ნაკრებში ყოფნა.

ემერსონ ლეაოსა და მის ნაკრებზე მსჯელობისას დიდი ფეხბურთელის, ზიკოს ნაამრევს ვიშველიებდით. ყოფილი კაპიტანი, მრავალთა მსგავსად, ტეტრაკამპეონების თამაშის სტილით აღშფოთებული გახლდათ. ზიკო შეშინებული აღნიშნავდა, რომ ბრაზილიელები აღარ ან ველარ თამაშობენ ჩვეულ ლაღ და გააზრებულ ფეხბურთს. მართლაც, მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონთა გუნდის ამჟამინდელმა წევრებმა თითქოს დაივიწყეს, რომ პელე, გარინჩა, რიველინო, სოკრატესი და კიდევ სხვანი ჰყოლიათ.

ახლა კი მოდის ახალი მწვრთნელი და მოაქვს სრულიად ახალი მანერა, რომლის საფეხბურთო დოქტრინა ზიკოსა და მის მაგვართ, ალბათ, გულს გაუხეთქავს. ბრაზილიის ნაკრების მთავარ მწვრთნელად ლუის ფელიპე სკოლარი დაინიშნა.

სკოლარი, იგივე „დიდი ფილი“, ამჟამად საფეხბურთო კლუბ „კრუზეირო“ წვრთნის და მისი მოძღვრება ძალიან მარტივია — მოსაგებად ყოველგვარი ხერხი უნდა გამოიყენო, მიზანი საშუალებას ამართლებს.

„დიდი ფილი“ სარმის, მუჯლუგუნის, კოჭების ლეწვის დიდი მოტრფიალე გახლავთ. მას თამაშის დროს უპირველეს ამოცანად მეტოქის შეტევების ჩაშლა დაუნახავს და ფეხბურთელებს პირდაპირ სთხოვს, მოედნის ცენტრში ხისტად, უხეშადაც უნდა ითამაშოთ, ჯარიმებიც ბლომად უნდა აიკიდოთ, მაგრამ მეტოქე უნდა გააჩეროთ. ამგვარი ტაქტიკური მონახაზით გამოირჩეოდა „გრემიო“, „პორტუ ალეგრე“, „პალმეირასი“ და „კრუზეირო“, როდესაც მათ სათავეში სკოლარი იდგა.

მიუხედავად უცნაური სტილისა, მწვრთნელი ამ გუნდებთან ერთად ბლომად ჯილდოსა და მედლებს შესწვდა. „დიდი ფილისთვის“ ლიბერტადორესის თასისა და სხვა ბრაზილიური თუ სამხრეთამერიკული ტიტულის გემოც არაა უცხო. თუმცა, დიდად მომგებიანი ტაქტიკის მიუხედავად, 1999 წელს საკონტინენტთაშორისო თასი სერ ალექს ფერგიუსონის „მანჩესტერ იუნაიტედს“ დაუთმო.

დიდი უცნაური და უჯიათი კაცია ლუის ფელიპე სკოლარი. მისი საკლუბო გამოცდილება იქნება ნაკრებსაც წაადგეს. ამას მომავალი გვიჩვენებს. ერთის თქმა კი ახლავე შეიძლება — სკოლარი ბრაზილიის ნაკრებს ბრაზილიურად ვერ აათამაშებს. ემერსონ ლეაოც ზუსტად სკოლარისეული ჩამშლელი ტაქტიკის მიმდევარი გახლდათ და აკი მიაბრძანეს კიდეც. ხოლო სკოლარი წინამორბედის სტილს, ალბათ, ჩვეულ ათლეტურ, არასაფეხბურთო ილეთებსაც დაუმატებს.

ცოტა უტაქტო განცხადებაა, მაგრამ ბრაზილიელთა გადაწყვეტილება სასაცილოა, სასაცილო და სამარცხვინო. კაცი, რომელიც ფეხბურთელებს მატჩის შემდეგ იმისთვის კიცხავს, რატომ მეტად არ იუხეშეთო, ნაკრებს არ უნდა წვრთნიდეს. არადა, ეს ამბავი მთელმა ბრაზილიამ იცის, ამგვარი საუბრების ამსახველი ჩანაწერებიც კი არსებობს.

გარდა ამისა, თურმე „დიდი ფილი“ სხვა ბინძური იონბაზობითაც ერთობა. სან პაულუში ჩასული პალმეირასელთა მეტოქენი იმასაც ამბობენ, რომ სკოლარი თამაშის მსვლელობისას ბურთის მიმწოდებელ ბავშვებსაც ასაქმებს. მათაც სტუმართა მწვავე შეტევების ჩაშლას ავალებს, ოღონდ ყოველგვარი უხეშობის გარეშე — ბავშვები მეტოქე გუნდების იერიშებისას მოედანზე სათადარიგო ბურთებს შეაგორებენ-ხოლმე და ამაში ერთობ ყოფილან დაოსტატებულნი.

ბრაზილიის ნაკრებს და საერთოდ, ბრაზილიურ ფეხბურთსაც ცუდი დროება უდგას. ლეაოს წასვლა და სკოლარის მოსვლა საქმეს ვერ უშველის. თავიდათავი უწესრიგობა და კორუფციაა, რომელიც თითქოს ქვეყნის კონგრესის მიერ წარმოებულმა გამოძიებამ უნდა ამხილოს და მალევე მოსპოს.

ბრაზილიური ფეხბურთის დიდ გასაჭირზე საუბრობს მსოფლიოს ჩემპიონი გერსონიც. იგი თვლის, რომ ფეხბურთში არსებული განუკითხაობა უნდა აღმოიფხვრას, მანამდე კი თანამემამულეთ ამგვარ რამეს სთავაზობს: „ბრაზილიის ეროვნული ნაკრების სათავეში ჩოგბურთელ გუსტავო კუერტენის მწვრთნელი ლარი პასოსი უნდა მოვიყვანოთ. იგი ერთადერთია, რომელიც ოცდამეერთე საუკუნეში თანამემამულეებს სახარულს ანიჭებს“.

გერსონის მოსწრებულ სიტყვას, რა თქმა უნდა, არავინ ათხოვა ყური და მწვრთნელად მაინც „დიდი ფილი“ ირჩიეს. ალბათ იმიტომ, რომ სკოლარის შეგირდები ბურთს ფეხით თამაშობენ, კუერტენი კი — ჩოგნით. ისე, კაცმა რომ თქვას, ისეთი აზრი, გერსონს რომ მოუვიდა თავში, შეიძლება საქართველოშიც გაჩნდეს — უპრიანი იქნება, ფრანგმა კლოდ სორელმა, თუ მისი სურვილიც იქნება, სარაგბო და საფეხბურთო ნაკრებების მწვრთნელობა რიგორმე შეითავსოს და ორივე გუნდს უთავკაცოს.

**გიორგი მამარდაშვილი**

# მოვა ფეხბურთი და ჩაგიმტვრევს შუშებს

**იაპონური** სადაზღვევო კომპანია „ნისინ ფაირ მერაინ ინშურანს“ მზადაა, მსოფლიოს ჩემპიონატის დღეებში მოსალოდნელი რბევისგან დააზღვიოს მაღაზიების მფლობელთა ქონება.

გასაკვირი არ იქნება, რომ ამა თუ იმ ნაკრების გულშემატკივარმა, მარცხის ან თუნდაც გამარჯვების შემთხვევაში, სავაჭრო ობიექტების ვიტრინათა სიმტკიცის ხარისხი შეამოწმოს.

ამიტომ, წინდახედულმა იაპონელებმა გაითვალისწინეს შესაძლო ვარიანტები და ზემოთ ხსენებულმა კომპანიამ დაზღვევის სპეციალური პროგრამა შეიმუშავა. მართალია, პროექტი საბოლოოდ დამტკიცებული არ არის, მაგრამ, სავარაუდოდ, დაზღვევის შესაძლებლობა ეძლევათ არა ჯიხურებს ცალ-ცალკე, არამედ მაღაზიათა ქსელებს. თუმცა შედარებით პატარა მაღაზიის მფლობელებსაც შეუძლიათ გაერთიანდნენ ერთგვარ კავშირში, რომლის ფონდშიც თითოეულმა 5000 იენი (დაახლოებით 45 დოლარი) უნდა შეიტანოს. მოგროვილი თანხა გადაერიცხება კომპანიას, ხოლო ნებისმიერ დონეზე მაღაზიის დაზიანების შემთხვევაში „ნისინი“ დაზარალებულს 1000 000-დან 10 000 000-მდე იაპონურ იენს გადაუხდის.

თბილისში მაღაზიათა იმ მეპატრონეებს, რომელთაც საკუთარი ობიექტი ჯერ არ დაუზღვევიათ, ვურჩევთ, დროზე მიაკითხონ სადაზღვევო კომპანიებს, თორემ თუ საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრებმა ასე გააგრძელა...

**გაგა ხუციშვილი**

# რას ერჩოდა მაიამის საავიაციო საგენტო დუაიტ იორკს?

**ტრინიდადს,** რომელსაც მსოფლიოს ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირის კონკაკაფის ჯგუფში ბოლო ადგილი უკავია და სამი თამაშიდან ერთი ქულა აქვს, ფაქტობრივად, მცირედი შანსიღა დარჩა მსოფლიო პირველობის ფინალურ ეტაპზე მონაწილეობისა. ამიტომაც უახლოესი მატჩი, რომელიც გუნდმა ჰონდურასის ნაკრების წინააღმდეგ უნდა გამართოს, აუცილებლად უნდა მოიგოს.

თუმცაღა, ეტყობა, ტრინიდადელებს პრობლემები შეექმნათ, რომელთა მოთავეც „მანჩესტერ იუნაიტედის“ თავდამსხმელი დუაიტ იორკი გახლავთ. ფეხბურთელი იმედოვნებდა, რომ იქნებოდა გუნდთან ერთად პანამაში, სადაც ტრინიდადელებმა იქაურ ნაკრებთან უადრესად დაძაბულ ბრძოლაში უგოლო ფრეს მიაღწიეს.

პანამისაკენ მიმავალ გზაზე, მაიამიში, იორკი თანამემამულეებს არ დახვედრია და გუნდმაც მის გარეშე ჩაატარა აღნიშნული მატჩი. ტრინიდადის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ამ ფაქტთან დაკავშირებით საგანგებო სხდომა მოიწვია, რომელზეც გუნდის მწვრთნელსა და მენეჯერს ახსნა-განმარტება მოსთხოვა.

„ჩვენ შეწუხებულნი ვართ მომხდარით და ვთვლით, რომ დუაიტ იორკმა რამდენიმე კითხვაზე უნდა გვიპასუხოს მანამ, სანამ ჰონდურასის ნაკრების წინააღმდეგ გუნდის ძირითად შემადგენლობას გამოვაცხადებთ“ — აღნიშნა პრეზიდენტმა.

თავად იორკი კი ამბობს: „ჩარტერული მგზავრობა საერთოდ დიდ პრობლემებს ქმნის. მეც ჩემი ჯანმრთელობა არცთუ ხელს მიწყობს“...

იორკის პირადმა მენეჯერმა ჟურნალისტებს განუცხადა: „იორკი მაიამიში სამშაბათს ღამით ჩავიდა, რათა ერთ-ერთ ნაკრებს შეერთებოდა, მაგრამ ადგილობრივი საავიაციო საგენტოს დაუდევრობით ბილეთი დაჯავშნული არ აღმოჩნდა. თანაც თვითმფრინავი, თითქოს ჩვენს ჯიბრზე, ნახევარი საათით ადრე გაფრენილიყო“...

უნდა აღინიშნოს, რომ მაიამის საავიაცო საგენტომ მთელი პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე აიღო და დუაიტ იორკისთვის შექმნილი დისკომფორტის გამო ოფიციალურად ბოდიში მოიხადა.

პანამაში გამგზავრების ნაცვლად დუაიტი ტრინიდადში ჩავიდა, რადგანაც მისი ოჯახის ერთ-ერთ წევრს ჯანმრთელობა საგრძნობლად გაუუარესდა.

ტრინიდადელ გულშემატკივართა აზრით, გუნდის მესვეურებმა უნდა გაუგონ როგორც დუაიტ იორკს, ასევე რასელ ლატაპს, რომელიც ასევე არ გამოცხადდა შეკრებაზე.

ფედერაციის პრეზიდენტი კი აცხადებს: „არ მსურს წინასწარ რაიმე ვთქვა, რადგანაც იორკიც და ლატაპიც მეტად საჭირო მოთამაშენი არიან... მწვრთნელმა უნდა მიიყვანოს გუნდი იმ კონდიციამდე, რომელიც ჩვენთვის სასურველ შედეგს მოიტანს, დუაიტ იორკს კი ამ თვალსაზრისით საკმაოდ ბევრი ძალუძს...“

უშველის თუ არა დუაიტის ოსტატობა ტრინიდადის განწირულ გუნდს, სულ მალე გაირკვევა.

**გამუკა ნაცვალაძე**

დუაიტ იორკი



საუკეთესო მეკროსე, მეპასე და დრიბლიორი: დევიდ ბექემი, როი კინი და რაიან გიგზი

# ვინ რამდენი მოატყუა და...

*ინგლისური პრემიერლიგა, სტატისტიკის თვალსაზრისით, ნელ-ნელა ჰოკეისა და კალათბურთის ეროვნულ ლიგებს ემსგავსება. ბოლო წლებია, აქ მხოლოდ გოლებს, საგოლე პასებსა თუ ოფსაიდებს როდი ითვლიან — ნებისმიერი საფეხბურთო კომპონენტი თანამედროვე ტექნიკის წყალობითაა აღნუსხული.*

*ამიტომაც სეზონის ბოლოს ყველაფერი ჯამდება. მაგალითად:*

**ყველაზე მეტჯერ კარისკენ დაარტყეს**

| | |
|---|---|
| 1. ტიერი ანრი (არსენალი) | 123 |
| 2. ჯიმი ჰასელბაინკი (ჩელსი) | 113 |
| 3. კევინ ფილიპსი (სანდერლენდი) | 112 |
| **გუნდებში** | |
| 1. მანჩესტერ იუნაიტედი | 544 |
| 2. არსენალი | 521 |
| 3. ლივერპული | 499 |

**ყველაზე მეტჯერ კარში დაარტყეს**

| | |
|---|---|
| 1. ტიერი ანრი (არსენალი) | 63 |
| 2. ჯიმი ჰასელბაინკი (ჩელსი) | 55 |
| 3. კევინ ფილიპსი (სანდერლენდი) | 52 |

**ყველაზე მეტი პასი გააკეთეს**

| | |
|---|---|
| 1. როი კინი (მანჩესტერი) | 2 184 |
| 2. ჯიმ მეჯილტონი (იფსვიჩი) | 2 122 |
| 3. პოლ მერსონი (ასტონ ვილა) | 2 085 |
| **გუნდებში** | |
| 1. მანჩესტერ იუნაიტედი | 19 808 |
| 2. არსენალი | 17 479 |
| 3. ჩელსი | 17 257 |

**ყველაზე მეტი ზუსტი პასი გააკეთეს**

| | |
|---|---|
| 1. როი კინი (მანჩესტერი) | 1 893 |
| 2. ჯიმ მეჯილტონი (იფსვიჩი) | 1 701 |
| 3. დევიდ ბექემი (მანჩესტერი) | 1 605 |

**ყველაზე მეტჯერ დაჯარიმდნენ**

| | |
|---|---|
| 1. ეშლი უორდი (ბრედფორდი) | 95 |
| 2. ოლივიე დაკური (ლიდსი) | 94 |
| 3-4. დიონ დაბლინი (ასტონ ვილა) | 90 |
| 3-4. ალან სმიტი (ლიდსი) | 90 |
| **გუნდებში** | |
| 1. არსენალი | 662 |
| 2. ევერტონი | 658 |
| 3. მანჩესტერ სიტი | 643 |

**ყველაზე მეტჯერ ეუხეშნენ**

| | |
|---|---|
| 1. დონ ჰაჩისონი (ევერტონი) | 113 |
| 2. ეშლი უორდი (ბრედფორდი) | 98 |
| 3. ნაილ ქუინი (სანდერლენდი) | 86 |

**ყველაზე მეტჯერ მეტოქის საჯარიმოში ჩააწოდეს (ქროსი)**

| | |
|---|---|
| 1. დევიდ ბექემი (მანჩესტერი) | 353 |
| 2. ნოლბერტო სოლანო (ნიუკასლი) | 327 |
| 3. პოლ მერსონი (ასტონ ვილა) | 279 |

**ყველაზე მეტი ფეხში ვარდნა (ე.წ. „პაღკატი“) შეასრულეს**

| | |
|---|---|
| 1. ოლივიე დაკური (ლიდსი) | 173 |
| 2. სტიუარტ მაკკოლი (ბრედფორდი) | 148 |
| 3. მაიკლ კარიკი (ვესტ ჰემი) | 143 |
| **გუნდებში** | |
| 1. ლიდსი | 1 109 |
| 2. ევერტონი | 1 096 |
| 3. ვესტ ჰემი | 1 084 |

**ყველაზე მეტი დრიბლინგი (რამდენიმე კაცის მოტყუებით) შეასრულეს**

| | |
|---|---|
| 1. რაიან გიგზი (მანჩესტერი) | 234 |
| 2. რობერ პირესი (არსენალი) | 224 |
| 3. პაოლო დი კანიო (ვესტ ჰემი) | 203 |

# ინგლისმა გერმანიას ადგილი მოუგო

**უეფამ** ინგლისს ჩემპიონთა ლიგაში 2002-2003 წლების სეზონში ოთხი გუნდის გაყვანის უფლება მიანიჭა, ამის ხარჯზე კი გერმანული კლუბების რაოდენობა იმავე ტურნირში ერთით შემცირდება. აქამდე ასე იყო: ესპანეთს, იტალიასა და გერმანიას ევროპის უპირველეს საკლუბო შეჯიბრზე ოთხ-ოთხი გუნდი გაჰყავდათ. ეს ყველაფერი კოეფიციენტებით დგინდება, კოეფიციენტს კი იქიდან ანგარიშობენ, თუ რა წარმატებას მიაღწევენ ამა თუ იმ ქვეყნის წარმომადგენლები ბოლო ხუთი წლის ევროთასებზე.

წლეულს ლიგაში წარდგენილმა სამივე ინგლისურმა კლუბმა — „მანჩესტერ იუნაიტედმა“, „არსენალმა“ და „ლიდს იუნაიტედმა“ მეოთხედფინალამდე მიაღწია, ხოლო ამ უკანასკნელმა ნახევარფინალშიც ითამაშა. ცალკე უნდა ითქვას „ლივერპულზეც“, რომელმაც უეფას თასი მოიგო და საერთო ინგლისურ კოეფიციენტში დიდი წვლილიც შეიტანა.

მართალია, გერმანიის ჩემპიონი მიუნხენის „ბაიერნი“ მთავარ ჯილდოს, ჩემპიონთა თასს დაეუფლა, მაგრამ სხვა ბუნდესლიგური კლუბების უხეირობით ოდენ ჩემპიონმა საერთო საქმეში ლეღო ვერ გაიტანა, საბოლოოდ კი ინგლისი დარჩა გამარჯვებული.

აქვე აღსანიშნავია, რომ ბრიტანელები მეხუთე ადგილზე იყვნენ და კოეფიციენტთა ცხრილში ახლა მესამეზე აღზევდნენ.

2002-2003 წლების სეზონში როგორც ავღნიშნეთ, ინგლისი ოთხ გუნდს გაიყვანს, მომავალ სეზონში ჯერ ყველაფერი უცვლელად დარჩება, მათ სამი ეყოლებათ, გერმანელებს კი — ოთხი.

| | | |
|---|---|---|
| 1 | ესპანეთი | 65,210 ქულა |
| 2 | იტალია | 56,239 |
| 3 | ინგლისი | 51,288 |
| 4 | გერმანია | 48,632 |
| 5 | საფრანგეთი | 42,352 |
| 6 | ჰოლანდია | 30,249 |
| 7 | თურქეთი | 29,975 |
| 8 | საბერძნეთი | 28,366 |
| 9 | რუსეთი | 27,708 |
| 10 | პორტუგალია | 26,274 |
| 11 | ჩეხეთი | 24,791 |
| 12 | ბელგია | 24,150 |
| 13 | უკრაინა | 23,833 |
| 14 | ავსტრია | 23,750 |
| 15 | ნორვეგია | 23,600 |
| 16 | შოტლანდია | 22,375 |
| 17 | შვეიცარია | 21,875 |
| 18 | ხორვატია | 19,999 |
| 19 | შვედეთი | 18,208 |
| 20 | პოლონეთი | 17,500 |









# ინტერმა რონალდინიოს ინტერნატი გაახსნა

## მუქთა ვივასიც კარგია, კიეზას 17 მილიონს კი კაპიკიც არ მოაკლდება

**გუშინ** გაუწყეთ, რომ „არსენალის“ არგენტინელი მცველი ნელსონ ვივასი მილანის „ინტერთან“ აწარმოებდა მოლაპარაკებას. მოგვიანებით გავრცელდა ცნობა, რომლის თანახმადაც იტალიურმა კლუბმა უკვე შეათანხმა პირობები სამხრეთამერიკელთან და იგი მომავალ ორი სეზონში „ინტერში“ ითამაშებს.

„ინტერი“ თავის ვებ-გვერდში იუწყება, რომ ვივასმა წინასწარ კონტრაქტს უკვე მოაწერა ხელი. თუმცა უნდა აღვნიშნოთ, რომ სულ მცირე 17 ივნისამდე იგი მილანური კლუბის მოთამაშედ ვერ ჩაითვლება, რაკიღა იტალიაში ოფიციალური სატრანსფერო ბაზარი მხოლოდ ამ დღის შემდეგ გაიხსნება.

ცნობილი გახდა, რომ მილანურმა კლუბმა 31 წლის ფეხბურთელი სრულიად უსასყიდლოდ ჩაიგდო ხელში, რადგან ამ უკანასკნელს „არსენალთან“ კონტრაქტი დაუსრულდა, ხოლო ახალი კლუბი მას სეზონში 1,3 მილიონ დოლარს გადაუხდის.

ნელსონ ვივასი

ენრიკო კიეზა

ვივასმა 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე არგენტინის ნაკრებში ითამაშა, სულ კი ეროვნულ გუნდში 24 მატჩი ჩაუტარებია. მსოფლიოს პირველობის დასრულებიდან ერთ თვეში შვეიცარიულ „ლუგანოში“ მოთამაშე სამხრეთამერიკელით ლონდონის „არსენალი“ დაინტერესდა და 2,2 მილიონ დოლარად მალევე მოახერხა მისი გადაბირება.

არსენ ვენგერის გუნდში ვივასი ხშირად ძირითადში ვერ ხვდებოდა. დაახლოებით ორი სეზონის განმავლობაში 50-მდე შეხვედრა ჩაატარა, 2000 წლის იანვარში კი იგი ვიგოს „სელტამ“ ივჯარით ესპანეთში გადაიყვანა.

ახალი სეზონიდან „ბოკა ხუნიორსის“ ყოფილი წევრი „ინტერში“ ითამაშებს და როგორც განაცხადა, ეს ძალიან ახარებს. ჯერ ერთი, რომ სერია A-ში ახლებურ გამოცდილებას შეიძენს და მეორე — ექტორ რაულ კუპერთან მოუწევს მუშაობა.

მილანური გუნდიდან კიდევ ერთი სიახლეა — მათ რიგებს მალე, ალბათ, ენრიკო კიეზა შეემატება. „ინტერი“ „ფიორენტინასთან“ აწარმოებს მოლაპარაკებებს და თანახმაა, თავდამსხმელის სანაცვლოდ 17 მილიონი დოლარი გადაიხადოს.

კიეზა საფეხბურთო საზოგადოებისთვის 1995 წლის შემდეგ გახდა ცნობილი, როცა იგი „სამპდორიამ“ „კრემონეზესგან“ შეიძინა და ფორვარდმა გენუის კლუბში პირველივე სეზონში 22 გოლი გაიტანა. თანაც სადებიუტო მატჩში გენუურ დერბიში „ჯენოას“ ჰეთ თრიქი შეუსრულა. ასევე გოლი გაიტანა პირველ სანაკრებო შეხვედრაში ბელგიელების წინააღმდეგ.

1998 წელს „სამპდორიამ“ კიეზა „პარმას“ მიჰყიდა, სადაც მან იტალიისა და უეფას თასები მოიგო, შემდეგ კი ჯოვანი ტრაპატონის „ფიორენტინაში“ გადავიდა სათამაშოდ.

„ინტერს“ ვარსკვლავებში დიდძალი თანხის გადახდა რომ არ ენანება, ცნობილი ფაქტია.

ახლახან „ინტერმა“ ბრაზილიელებთან ახალი შეთანხმება გააფორმა, რომლის თანახმადაც იგი 5 წლის განმავლობაში მილიონ დოლარს გამოყოფს (წელიწადში 200 ათას დოლარს) და ახალგაზრდა ნიჭიერ ბრაზილიელებს სათავისოდ გაზრდის. ხსენებულ პროექტს მილანური კლუბი სპონსორ „პირელისთან“ ერთად ახორციელებს და იგი „ინტერ კამპუსის“ სახელითაა ცნობილი. ასეთი ინტერული ბანაკები ატლანტიკის გაღმა უკვე მოქმედებს არგენტინაში, მექსიკასა და კოლუმბიაში.

**ნიკა შუგლაძე**

*23 დღის შემდეგ იოზეფ ბლატერი შესაძლოა, ფიფას პრეზიდენტი აღარ იყოს. თუ დღეიდან ოცდასამს გადავითვლით, 7 ივლისს მივიღებთ — დღეს, როცა ფიფას კონგრესმა ბუენოს აირესში, საგანგებო სხდომაზე ახალი სატრანსფერო სისტემის რევოლუციური კანონი უნდა დამტკიცდეს. და რა შუაშია აქ ბლატერი?*

# იუჰანსონმა ბლატერს გამოცდა მოუწყო

## უეფას აზრით, ფიფას პრეზიდენტი ჩაიჭრა




**იოზეფ ბლატერი**

**დაიბადა 1936 წლის 10 მარტს ვისპში, შვეიცარია**

**განათლება: დაამთავრა ლოზანის უნივერსიტეტი, ეკონომისტი**

**ოჯახური მდგომარეობა: განქორწინებულია, ჰყავს ერთი შვილი**

**სპორტული მოღვაწეობა:**

**1964 : შვეიცარიის ჰოკეის ფედერაციის გენერალური მდივანი**

**1972-76: ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის წევრი**

**1970-75: საფეხბურთო კლუბ „ქსამაქსის" დირექტორი**

**1975-81: ფიფას ტექნიკურ დირექტორი**

**1981-98: ფიფას გენერალური მდივანი**

**1998 წლის ივნისში ფიფას პრეზიდენტად აირჩიეს**

**1999 წლიდან საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრი**

**ახალი** კანონის მიღებას პრეზიდენტის შესაძლო გადაყენება არანაირად არ უკავშირდება. საქმე მარკეტინგული კომპანია ISL-ის გაკოტრებას ეხება, რომელიც ფიფას უმსხვილესი პარტნიორი იყო და ამ ორგანიზაციის სახელით გამართულ უმსხვილეს ტურნირებს უწევდა ორგანიზებას. აღსანიშნავია, რომ ISL-ის გაკოტრებამ საეჭვო გახადა მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატის ჩატარება, რომელსაც აგვისტოში ესპანეთმა უნდა უმასპინძლოს.

ISL-ის გაკოტრება, რომელიც კორეა-იაპონიაში კონფედერაციათა თასის გათამაშებას დაემთხვა, ცხადია, ჩრდილს აყენებს ფიფას რეპუტაციას, რაკი მათი საქმიანობა მჭიდროდ იყო დაკავშირებული ერთმანეთთან. აქვე შევნიშნოთ, რომ მსოფლიო საფეხბურთო ორგანიზაციის რეპუტაცია არც იქამდე ყოფილა უმწიკვლო.

მოკლედ, გაჩნდა რეალური შანსი ზეპ ბლატერისთვის მომაკვდინებელი დარტყმის მისაყენებლად, რომლის არგამოყენებასაც უეფას პრეზიდენტი ლენარტ იუჰანსონი ვერ დაუშვებდა.

იუჰანსონის და ბლატერის მტრობის ამბავი სამი წლის წინ იღებს სათავეს, როცა მხცოვანი ჟოაო აველანჟის გამოთავისუფლებული სავარძლისთვის ბრძოლაში ფიფას მაშინდელმა გენერალურმა მდივანმა ზეპ ბლატერმა უეფას პრეზიდენტი დაჯაბნა.

იუჰანსონს შურისძიების დრო დაუდგა და ორშაბათს ციურიხში ფიფას შტაბბინაში ბლატერის სახელზე ოცდახუთი კითხვა გააგზავნა. დროც კარგად შეარჩია, გუშინ ფიფას აღმასკომის სხდომა იყო.

თუმც თავდაპირველად იუჰანსონი სხდომის გადადებას ითხოვდა, რადგან ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ციურიხში ჩასვლას ვერ ახერხებდა. არადა, ალბათ, ძალიან უნდოდა, დარბაზში მჯდომს მოესმინა, რა პასუხს გასცემდა ბლატერი, მაგრამ ფიფას გენერალურ მდივან მიშელ ზენ რუფინენისგან უარი მიიღო: „სხდომას უეფას შვიდი წარმომადგენელი დაესწრება. ვფიქრობ, ისინი ღირსეულად დაიცავენ ბატონ იუჰანსონის ინტერესებს. სხდომის გადადება შეუძლებელია. პირადად მე დიდად ვწუხვარ, რომ იუჰანსონი მას ვერ დაესწრება."

ზენ რუფინენისგან ამგვარი პასუხის მიღების შემდეგ იუჰანსონმა კითხვების გაგზავნა ამჯობინა, თან მაინც მშვიდად იყო — სხდომაზე თავისი მარჯვენა ხელი, უეფას გენერალური მდივანი გერჰარდ აიგნერი ეგულებოდა.

აღნიშნული ოცდახუთი კითხვა საკმაოდ კონკრეტულია და მიზნად ბლატერის არაკომპეტენტურობის დამტკიცებას ისახავს. ამასთანავე იუჰანსონი ოპონენტს UEFA-თან საეჭვო ფინანსურ ოპერაციებში და მისი გარემოცვის კორუმპირებულობაში ამხელს. რაღა შორს წავიდეთ, საკმაო საბაბი არსებობს, რათა 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ჩატარების უფლების გერმანიისთვის გადაცემა ქრთამის თუ შანტაჟის გზით მოპოვებულად მოვიჩნიოთ.

სხდომა შედგა. ბლატერმა კითხვებს უპასუხა, მაგრამ... „ზეპ ბლატერმა ზოგიერთ კითხვას თავი აარიდა" — აცხადებს გერჰარდ აიგნერი.

რა იქნება შემდეგ? ალბათ, ბლატერის იმპიჩმენტის საკითხს ბუენოს აირესულ საგანგებო სხდომაზე დააყენებენ, იქამდე კი იუჰანსონის გუნდი ბლატერის პასუხებს გულდასმით შეისწავლის და ფიფას პრეზიდენტის არაგულწრფელობაში ან ტყუილში გამოჭერას შეეცდება. აიგნერმა თქვა: „ჯერჯერობით რაიმეს თქმა არ შემიძლია. ბლატერის ზეპირი პასუხები მოვისმინეთ და მათ წერილობით ვარიანტს ველოდებით. მხოლოდ ამის შემდეგ გავსაზღვრავთ სამოქმედო გეგმას. ვიცი, რომ ლენარტ იუჰანსონს და უეფას აღმასკომის წევრებს ბლატერის პასუხების სისწორის შემოწმება სურთ. იმედი მაქვს, წერილობით მაინც მივიღებთ ამომწურავ პასუხებს, რაც ფიფას პრეზიდენტის ზეპირი გამოსვლით ვერ მივიღეთ. სხვაგვარად პრობლემაში ძირეული ჩაწვდომა შეუძლებელია."

რა უტრიალებს ზეპ ბლატერს გულში, აბა, ჩვენ საიდან გვეცოდინება, ხმამაღლა კი ეს თქვა: „დღევანდელ სხდომაზე სიტყვაც არ თქმულა, ჩემთვის უნდობლობის გამოცხადებაზე. აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ ფიფას რიგგარეშე კონგრესზე მხარდაჭერას მივიღებ."

**გიორგი დარჯანია**

## პოლონეთი

**XXX ტური. ვისლა — ზაგლებე 3:0; პოლონია — ოდრა 1:2; პლოცკი — რაძიონკოვი 1:3; შლიონსკი — ვიძევი 0:0; კატოვიცე — გურნიკი 1:1; სტომილი — პოგონი 0:1; ამიცა — ლეგია 3:2; რუხი — გროცლინი 4:3**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვისლა | 30 | 19 | 5 | 6 | 66:27 | 62 |
| პოგონი | 30 | 16 | 5 | 9 | 43:33 | 53 |
| ლეგია | 30 | 14 | 8 | 8 | 45:29 | 50 |
| პოლონია | 30 | 13 | 7 | 10 | 38:30 | 46 |
| ზაგლებე | 30 | 14 | 4 | 12 | 43:40 | 46 |
| ამიცა | 30 | 13 | 5 | 12 | 48:44 | 44 |
| რუხი | 30 | 13 | 5 | 12 | 50:48 | 44 |
| კატოვიცე | 30 | 9 | 15 | 6 | 28:22 | 42 |
| ოდრა | 30 | 10 | 9 | 11 | 39:46 | 39 |
| გროცლინი | 30 | 9 | 10 | 11 | 35:38 | 37 |
| შლიონსკი | 30 | 9 | 9 | 12 | 32:38 | 36 |
| ვიძევი | 30 | 9 | 9 | 12 | 33:40 | 36 |
| გურნიკი | 30 | 9 | 7 | 14 | 29:35 | 34 |
| სტომილი | 30 | 10 | 4 | 16 | 22:41 | 34 |
| პლოცკი | 30 | 9 | 4 | 17 | 37:55 | 31 |
| რაძიონკოვი | 30 | 9 | 4 | 17 | 29:51 | 31 |

**ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ჯგუფი**

## ოკეანეთი

**II ჯგუფი**

**ახალი ზელანდია 7:0 ვანუატუ**

**ტაიტი 2:0 სოლომონის კუნძული**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ახ. ზელანდია | 4 | 4 | 0 | 0 | 19:1 | 12 |
| ტაიტი | 4 | 3 | 0 | 1 | 14:6 | 9 |
| სოლომონის კუნძ. | 4 | 2 | 0 | 2 | 17:10 | 6 |
| ვანუატუ | 4 | 1 | 0 | 3 | 11:21 | 3 |
| კუკის კუნძ. | 4 | 0 | 0 | 4 | 2:25 | 0 |

**ახალი ზელანდია ბოლო ოფში ხვდება პირველი ჯგუფის გამარჯვებულ ავსტრალიას**

# ნამუსიანი კაცი ყოფილა

**მწვრთნელთა** ფოთოლოცვენა გრძელდება. გუშინ მოლდოვის ნაკრების მთავარი მწვრთნელი ალექსანდრ მაციურაც გადადგა: „წასვლის შესახებ განცხადება ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის მაგიდაზე დავდე. მიმაჩნია, რომ ასეთი ჩავარდნის შემდეგ ნაკრების ხელმძღვანელობის მორალური უფლება აღარ მაქვს" — განაცხადა მაციურამ.

შეგახსენებთ, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის ბოლო შესარჩევ მატჩში მოლდოველებმა შვედებთან 0:6 წააგეს და მეოთხე ჯგუფში ბოლო ადგილზე დგანან. სხვათა შორის, ქართველებისა არ იყოს, მათაც მხოლოდ სამი ქულა აქვთ...

# ბულგარელებმა ქართველებს მიბაძეს

**ჩაწყობილი** თამაშების აღსაკვეთად მომავალ სეზონში ბულგარეთის უმაღლეს დივიზიონში პლეი ოფის სისტემა დაინერგება — განაცხადეს ბულგარეთის ფეხბურთის ხელმძღვანელებმა. ჩემპიონატი ორ რაუნდად ჩატარდება. პირველი ტური მარტში დასრულდება, მერე გუნდები ორ ჯგუფად განაწილდებიან, პირველ ჯგუფში მოხვდება შვიდი უძლიერესი, რომლებიც ურთიერთში გაარკვევენ, ვინ იქნება ჩემპიონი, ვინ გავა უეფაზე და ა.შ.

მეორე ჯგუფში მოხვედრილები იმ სამ ბოლოადგილოსანს გამოავლენენ, რომლებიც მომდევნო სეზონში ქვედა (პირველ) ლიგაში ითამაშებენ, მათ ადგილს კი ამავე დივიზიონში პირველ სამ ადგილზე გასული გუნდი დაიკავებს. ბულგარეთის ფეხბურთის კავშირმა შექმნა სპეციალური ჯგუფი, რომელიც ამ საკითხს უფრო დაწვრილებით განიხილავს და თვის ბოლოსთვის საბოლოო პროექტს გამოაქვეყნებს. ბოლოსთვის კი დავძენთ, რომ მსგავსი სისტემა ადრე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ შემოიღო.

**ლაზა გეგეჭკორი**

# ბუნდესლიგაში შემცირებები დაიწყო

**ცვლილებებია** ბუნდესლიგაში. ერთი თვეა, რაც წლევანდელი სეზონი მიიწურა და გუნდები მომავალი სეზონისთვის ემზადებიან, საქმიანობამ კი მწვანე მინდვრიდან კაბინეტებში გადაინაცვლა. დიდ მზადებაშია გერმანიის საფეხბურთო კავშირი. ბუნდესლიგაში გასამართი ტურის ხანგრძლივობა სამიდან ორ დღემდე შეამცირეს. პარასკევს ტურის მატჩი აღარ გაიმართება. შვიდი თამაში შაბათს ჩატარდება, ორი დარჩენილი — კვირას, „ტურის ორ დღემდე შემცირება ის არის, რასაც ჩვენგან გულშემატკივრები ელიან" — განაცხადა ამ კავშირის წევრმა ვერნერ ჰაკმანმა, ხოლო საბოლოო გადაწყვეტილებას ამის თაობაზე 27 ივნისს მიიღებენ.

**ლაზა გეგეჭკორი**

## ინტერტოტის თასი 2001

**პირველი ეტაპი, პირველი მატჩები**

**16 ივნისი**

დინამო (მინსკი, ბელარუსი) — ჰობშაიდი (ლუქსემბურგი)
უნივერსიტატია (რუმინეთი) — ბილიში (ალბანეთი)
სენტ ჯულია (ანდორა) — ლოზანა (შვეიცარია)
ტატაბანია (უნგრეთი) — შირაქი (სომხეთი)
ტოუტირი (ფარერები) — ლოკერენი (ბელგია)
კარმარტენ თაუნი (უელსი) — აიკ (შვედეთი)
დანდი (შოტლანდია) — სარტიდი (იუგოსლავია)
ანართოსისი (კვიპროსი) — სლავენი (ხორვატია)
კორკ სიტი (ირლანდია) — მეტალურგსი (ლატვია)
ვიტ ჯორჯია (საქართველო) — რიდი (ავსტრია)

**17 ივნისი**

ჯაზი (ფინეთი) — გლორია (რუმინეთი)
ტილიგული (მოლდოვა) — კლიფტონვილი (ჩრდ. ირლანდია)
ჩელიკი (ბოსნია) — დენიზლი (თურქეთი)
ეკრანასი (ლიტვა) — არტმედია (სლოვაკეთი)
გროცლინი (პოლონეთი) — სპარტაკი (ბულგარეთი)
ზაგლებე (პოლონეთი) — ჰიბერნიანსი (მალტა)
გრინდავიკი (ისლანდია) — ვილიაში (აზერბაიჯანი)
ზაგრები (ხორვატია) — პობედა (მაკედონია)
ჰაპოელი (ჰაიფა, ისრაელი) — ტალინი (ესტონეთი)
ორჰუსი (დანია) — ცელიე (სლოვენია)

*საპასუხო მატჩები 23-24 ივნისს გაიმართება*

ჯამოლიწერელი
გაზეთი
სარგებელი
თავის ფასში
ტელეფონით!

ბილეთი ეღირება 1 თვით, 2 თვით, 3 თვით, 6 თვით, 12 თვით.

98-89-09, 26-10-80, (899) 55-30-97

ფოსტის ყუთები და დამონტაჟება უფასოა!

..პრეს-მოგზილი..

# ჯანლუკა პესოტო მსაჯებს ყვარებიათ შავად შევიღებავთ სახეს

**„იუვენტუსის“** ნახევარმცველი ჯანლუკა პესოტო გუშინ მილანში „ჯენტლმენის პრიზით“ დაჯილდოვეს. იტალიის მსაჯთა ასოციაციამ იგი წლეულს სერია A-ში ყველაზე სამართლიან მოთამაშედ მიიჩნია.

პესოტომ განაცხადა, ძალიან მოხარული ვარ ასეთი აღიარებითო და იქვე აღნიშნა, რომ ფეხბურთელებს შორის აუცილებლად უნდა იყოს სოლიდარობა. მან მაგალითად მოიყვანა „ტრევიზოს“ მოთამაშეთა საქციელი, როცა ერთ-ერთი შავკანიანი თანაგუნდელის მხარდასაჭერად მთელმა გუნდმა შავად შეიღება სახე.

ტურინელმა ისიც თქვა, საჭიროების შემთხვევაში ტრევიზოელთა მაგალითს მივბაძავთ თანაგუნდელ ედგარ დავიდსის მხარდასაჭერადო.

# რა პატარაა ეს მადრიდი

**წინა** კვირას, „რაიო ვალეკანომ“ პრიმერადივიზიონის ბოლოსწინა ტურში „ნუმანსიას“ 2:1 მოუგო, მეორე დღეს კი მისმა მწვრთნელმა ხუანდე რამოსმა გადადგომის თაობაზე განაცხადა.

რამოსი მომავალ უქმეებზე ერთხელაც ათამაშებს გუნდს — ლას პალმასში წაიყვანს და მერე თავის გზას დაადგება.

საზოგადოდ მწვრთნელს ან უშვებენ ან თავად მიდის. რამოსის შემთხვევაში მიზეზი მეორეა. „რაიო ვალეკანოში“ ჩემი შესაძლებლობები ამოწურეო, უთქვამს მწვრთნელს.

ხუანდე რამოსმა მადრიდის გარეუბნის პატარა, მაგრამ სიმპათიური გუნდი სამი წლის წინ ჩაიბარა, როცა „რაიო“ ჯერ კიდევ სეგუნდადივიზიონის ბინადარი იყო. პირველივე სეზონის ბოლოს მადრიდელებმა გადასასვლელი პლეი ოფი მოიგეს და პრიმერაში ამოყვეს თავი. ეს უკვე დიდი წარმატება გახლდათ (ახლა ესპანეთში გადასასვლელი პლეი ოფის წესი გაუქმებულია). მაგრამ რამოსი ამაზე არ შეჩერდა და საუკეთესოთა ოცეულში მეცხრე ადგილზე გასვლით უეფას თასის საგზური მოიპოვა. თუმცა ისიც სათქმელია, რომ „რაიოს“ ცოტათი უეფა წაეხმარა — ესპანეთს ფვირ პლეით განსაზღვრული სამი ადგილიდან ერთი უბოძა და „რაიოც“ ამით მოხვდა ევროტურნირზე. უეფაზე გასვლას კი რამოსმა მოსკოვის „ლოკომოტივისა“ და „ბორდოს“ დამარცხებები მიაყოლა და მეოთხედფინალამდე გაღწია, სადაც მომავალ ფინალისტ „ალავესთან“ დამარცხდა.

ამ სეზონის დამთავრებამდე ერთი ტური დარჩა, მაგრამ „რაიოსთვის“ ის, ფაქტობრივად, უკვე დასრულებულია — ცხრილის შუაშია გაჩხერილი, ვერც ზევით აიწევს და ვერც ქვევით ჩავა. უეფას თასზე კვლავ გასვლის შანსიც აღარაა.

„ფეხბურთიდან წასვლას არ ვაპირებ და მზად ვარ, დღესვე მოვისმინო ახალი წინადადებები — თქვა რამოსმა — თუ არ შემომთავაზებენ, რა ვუყო, დაველოდები“. ერთი რამ კი ცხადია, რამოსს „რაიოზე“ დიდ გუნდში მუშაობა სურს, რაზეც მისი ნათქვამი მიგვანიშნებს: „რაიოში“ მუშაობა ძალიან ძნელია. იმ სამ წელიწადში, რომელიც აქ გავატარე, მუდამ სტაბილური შემადგენლობის პრობლემა მქონდა. კლუბის პოლიტიკა ისეთია, რომ კარგი ფეხბურთელი გამოგვიწნდება თუ არა, მაშინვე ყიდიან. სალაროსთვის ეს ეგებ კარგიც იყოს, მაგრამ მე რა ვქნა. ასეთ პირობებში იმაზე მეტის მიღწევა, რაც უკვე მოვახერხეთ, უბრალოდ, შეუძლებელია და „რაიოში“ დარჩენის სურვილიც ამიტომ გამიქრა“.

დაგვეთანხმებით, კარგ ფეხბურთელთა გაყიდვა უფრო პატარა კლუბებს სჩვევიათ, დიდ მიღწევათა მოსურნენი კი საპირისპირო პოლიტიკას მისდევენ.

**გიორგი დარჯანია**

# რა დააშავა შავმა კანმა?

**სამწუხაროა,** მაგრამ ფაქტია, რომ რასიზმს და ფეხბურთს სულ უფრო ხშირად მოიხსენიებენ ერთად.

მაგალითად, გერმანიაში ნაცისტები საგანგებოდ ქმნიან ისეთ დაჯგუფებებს, რომელთა ერთადერთი მიზანი სტადიონზე მისვლა და შავკანიანი ფეხბურთელების შეურაცხყოფაა. ფეხბურთისთვის ასეთი სამარცხვინო მოქმედებებით განსაკუთრებით ლუისბურგელ და ზანქტპაულელ რასისტთა ლიდერები გამოირჩევიან. ამ შემთხვევაში გაკვირვებას იწვევს ქვეყნის ოფიციალურ პირთა და კლუბების ხელმძღვანელთა გულგრილობა ნაცისტთა საქციელის საპასუხოდ. ისინი არანაირ პრაქტიკულ ზომებს არ მიმართავენ.

მსგავსი პრობლემები არსებობს იტალიაშიც. აქ თავისი აქტიურობით „ლაციოს“ გულშემატკივრები „ლიდერობენ“.

ზოგიერთი დაჯგუფების ავტორიტეტებმა, რაღა თქმა უნდა, არაოფიციალურ დონეზე, შეთანხმებას მიაღწიეს და შემდგომ დაუფარავად განაცხადეს, რომ მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო მცველის, ფრანგი ლილიან ტურამის „ლაციოში“ გადასვლის წინააღმდეგნი არიან. რომაულ კლუბს იტალიაში „თეთრ გუნდს“ უწოდებენ, რითაც ფანები ამაყობენ კიდეც. თუმცა არის ისეთი ხალხიც, ვინც გაოგნებულია ადგილობრივი ხელისუფლების ლოიალურობით ამ საკითხთან მიმართებაში.

სულ ახლახან რასისტული გამოხდომის ფაქტი დაფიქსირდა საფრანგეთში, ქვეყანაში, სადაც გვრდიგვერდ მრავალი ეროვნებისა და კანის ფერის ხალხი ცხოვრობს. თავად მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონთა გუნდშიც ხომ ბევრი შავკანიანი ფეხბურთელი თამაშობს. მართალია, მათ ეთნიკური ფესვები შეიძლება სხვა ქვეყნებში აქვთ, მაგრამ საფრანგეთში დაბადებულნი, მისი მოქალაქეები არიან. ეტყობა, არც იქ ყოფილა მთლად იდეალური მდგომარეობა. „სტრასბურის“ ორი გულშემატკივარი შავკანიანი ფეხბურთელების შეურაცხყოფისთვის გასამართლეს და თითოეულს 1000 ევროს გადახდა დაეკისრა.

აშკარაა, რომ მომწიფდა რადიკალური ზომების მიღების აუცილებლობა. საჭირო, ევროპელებმა, და არა მარტო მათ, უფრო მეტი ყურადღება მიაქციონ ამ პრობლემას. იმედია, რასიზმის გამოვლინების შემთხვევები აღარ გვეჭნება, ხოლო ფეხბურთი და რასიზმი აღარასოდეს გაიჟღერებს ერთ კონტექსტში.

მაინც რა ხალხია ეს ფრანგები, 1000 ევრო უშველის ამ საქმეს?

**ვაცა ხუციშვილი**




☎ (231) 7 17 58

ქუთაისში

# იყიდება

ბინა ინდივიდუალური პროექტით
აშენებული რვაბინიანი
სახლის მესამე სართულზე.
საცხოვრებელი ფართი 250 მ².
დამხმარე ფართი 80 მ² პირველ სართულზე.

ირაკლი აბაშიძის პროსპექტი №8, კინოთეატრ „სულიკოსთან“

**გერმანული** „კაიზერსლუტერნის“ მეკარე გეორგ კოხი თურქეთში ჩავიდა, რათა „ბეშიქთაშთან“ კონტრაქტს მოაწეროს ხელი. ხელმძღვანელობის განცხადებით, ძლიერი მოთამაშეების გადასაბირებლად სათანადო თანხაა გამოყოფილი. მას შემდეგ, რაც კოხის „ბეშიქთაშში“ გადასვლის ამბავი აქაურმა მეკარე იე შორუმნუმ გაიგო, გადაწყვიტა, კლუბიდან წასულიყო. სავარაუდოდ ნიგერიელი რომელიმე სხვა თურქულ გუნდში ჩაირიცხება.

**ინგლისურმა „საუთჰემპტონმა“ წარმატებით დაასრულა შვედეთის ნაკრების მოთამაშის ანდრეს სვენსონის ტრანსფერი. „ელფსბორგის“ ფეხბურთელმა გუშინ სამედიცინო შემოწმება გაიარა და პრემიერლიგურ კლუბთან კონტრაქტს მოაწერა ხელი. 24 წლის სვენსონი სამხრეთული კლუბის პირველი შენაძენია ახალი სეზონის დაწყებამდე. აქვე აღსანიშნავია, რომ „საუთჰემპტონს“ ჯერჯერობით მწვრთნელი არ ჰყავს. გლენ ჰოდლმა თანამდებობა დატოვა და „ტოტენჰემს“ ჩაუდგა სათავეში, კლუბის თავმჯდომარე რუპერტ როუიც ახალი თავკაცის ძიებაშია.**

**ესპანურმა** „დეპორტივომ“ სურვილი გამოთქვა, „ბარსელონადან“ ბუდევინ ზენდენი გადაიყვანოს. ჰოლანდიელის ხელში ჩაგდებას ყველანაირად ცდილობს რომის „ლაციოც“. ზენდენი „ბარსელონაში“ 1998 წლის შემდეგ თამაშობს, კატალონიელთა მაშინდელმა მწვრთნელმა ლუის ვან გაალმა იგი „პსვ ეინდჰოვენიდან“ შეიძინა. „დეპორტივოს“ დატოვებას კი ვეტერანი ფრანი აპირებს და მწვრთნელი ხავიერ ირურეტას აზრით, მისი საუკეთესო შემცვლელი სწორედ 24 წლის ზენდენი იქნება.

**იტალიის მოქმედმა ჩემპიონმა „ლაციომ“ „პარმას“ არგენტინელი მატიას ალმეიდას სანაცვლოდ 11 მილიონი დოლარი შესთავაზა. ეს ცოტა უცნაური გადაწყვეტილებაა, რადგან შარშან რომაულმა კლუბმა ფეხბურთელი გაუშვა, ახლა კი კვლავ მის დაბრუნებას ცდილობს. თავად ალმეიდამ ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, რომ „ლაციოდან“ მას წყენა არ გაჰყოლია და ახლა თანახმაა, „პარმა“ დატოვოს, რათა ისევ „სტადიო ოლიმპიკოზე“ ითამაშოს.**

**პორტუგალიურმა** „პორტუმ“ ახალი მწვრთნელი შეარჩია. გუნდის ყოფილი მოთამაშე და შემდეგ მწვრთნელის თანაშემწედ მომუშავე ოკტავიუ მარჩადუ ჩაუდგება სათავეში. „პორტუს“ ხელმძღვანელთა განცხადებით, მასთან ორწლიან კონტრაქტს გააფორმებენ. შეგახსენებთ, რომ კვირას პორტუგალიის თასის მოგების შემდეგ მწვრთნელი ფერნანდუ სანტუში თანამდებობიდან გადადგა, რაც წინასწარ გადაწყვეტილი იყო, რადგან „პორტუმ“ ჩემპიონატში წარმატებას ვერ მიაღწია. მარჩადუ კი, თანაშემწედ 1987 წელსაც მუშაობდა. მაშინ, როცა „პორტუმ“ ჩემპიონთა თასი მოიგო.

**ესპანური „მალაგას“ პრეზიდენტი ფერნანდო პუშე თანამდებობიდან გადადგა. მას არალეგალურ საფინანსო ოპერაციებში ადანაშაულებენ და გამოძიება მიმდინარეობს. პრეზიდენტმა გადადგომის წინ ოფიციალური განცხადება გააკეთა: „გამოძიება დაწყებულია და არ მსურს, ამაში რამენაირად კლუბი ფიგურირებდეს. ახლა მირჩევნია, მთელი ძალები მოვიკრიბო და ჩემი ბიზნესის კანონიერება დავამტკიცო“. პუშემ „მალაგა“ 1997 წელს ჩაიბარა. მაშინ კლუბი მესამე დივიზიონში თამაშობდა. შემდეგ ორ სეზონში „მალაგა“ ჯერ მეორე, ხოლო შემდეგ, პრიმერადივიზიონში აღზევდა შარშან მეთორმეტე ადგილზე გავიდა. ახლა კლუბი მეშვიდეა და უეფას თასზე მოხვედრის შანსიც აქვს.**

**ფრანგული** „მარსელის“ ნახევარმცველი ლუკას ბერნარი „მონაკოში“ გადავიდა და ოთხწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი, მისმა კლუბმა კი სანაცვლოდ 8,5 მილიონი დოლარი მიიღო. შეგახსენებთ, რომ გუშინწინ კლუბის მწვრთნელად დიდიე დეშამპი დაინიშნა. „ბერნარი ძლიერი მოთამაშეა, მისი გამოცდილება ჩვენ დიდად წაგვადგება“ — განაცხადა მონაკოს წარმომადგენელმა.

**ინგლისურმა „სანდერლენდმა“ ჰოლანდიის მოქალაქე თურქი მცველი ბაკი ბერჩიმეკი „ჰარლემიდან“ გადაიბირა, ჰოლანდიურმა კლუბმა კი სანაცვლოდ ვერაფერი მიიღო, რადგან ფეხბურთელს კონტრაქტი ახლახან დაუსრულდა. 18 წლის თურქი „აიაქსის“ სკოლის აღზრდილია. ჩახედული ხალხი მას იიან სტამს ადარებს. აღსანიშნავია, რომ ბერჩიმეკს, როგორც თურქეთის, ისევე ჰოლანდიის ნაკრებში შეუძლია თამაში, მან კი განაცხადა, თურქული ფესვები მაქვს და ბედნიერი ვიქნები, თუ სწორედ ამ ქვეყნის ნაკრებში ვითამაშებო.**

**ფრანგულმა** „ბორდომ“ სურვილი გამოთქვა, „რეალ ხოსიედადიდან“ თავდამსხმელი ედგარას იანკაუსკასი გადაიბიროს. 26 წლის ლიტველთან მოლაპარაკება უკვე მიმდინარეობს. ფეხბურთელმა, რომელსაც „ფალგირისში“, ცსკა-ში, „ტორპედოსა“ და „ბრიუგეში“ უთამაშია, ამ სეზონში ესპანეთის ჩემპიონატში 11 გოლი გაიტანა. მის გარდა „ბორდოს“ ხელმძღვანელობას გადაწყვეტილი აქვს, ფლორენ მორისი და ბრაზილიელი თავდამსხმელი კრისტიანი შეიძინოს.


# რეკლამა სარბიელ-ში

Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80

ინფორმაცია 24 საათის განმავლობაში

ფეხბურთი, NHL, NBA

☎ 8 22 009 000, 8 22 009 001 (1ნთ / 50 თეთრი)

# ვლადიმერ ბოისას ბელგრადში გამოცდიან

## ჩემთვის იდეალური ვარიანტი ოლიმპიაა

***საქართველოს კალათბურთელთა ეროვნული ნაკრების 21 წლის ფორვარდი ვლადიმერ ბოისა, რომელმაც წლეულს სლოვენიის „სლოვანში“ ქვეყნის ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალი მოიპოვა, დღეს გამთენიისას ისევ სლოვენიაში გაემგზავრა. ოღონდ არა თავის ძველ გუნდში, არამედ წლევანდელი სეზონის ტრიუმფატორ ლიუბლიანის „ოლიმპიაში“, რომელთანაც იგი ხუთწლიანი კონტრაქტით არის დაკავშირებული და საიდანაც „სლოვანში“ ერთი წლით იყო განათხოვრებული. მას შემდეგ, რაც ვოვამ „ოლიმპიასთან“ ხელშეკრულება გააფორმა, მის ძირითად შემადგენლობაში ვერ ხვდება. ვნახოთ, შესაძლოა ამჯერად, „ოლიმპიას“ წინასასეზონო შეკრებაზე გაუმართლოს და სლოვენიის ყველაზე ტიტულოვან გუნდში დამკვიდრდეს. ბოისას გუშინ შევხვდით და მისი გეგმების შესახებ გავესაუბრეთ.***



გუშინ ფოტოგრაფიერის ფოტო

**— გავიგეთ, სლოვენიაში მიემგზავრებით. რატომ ასე ადრე?**

— რამდენიმე დღის წინ სლოვენიიდან „ოლიმპიას“ წარმომადგენელი დამიკავშირდა და მთხოვა, გუნდის შეკრებისთვის ჩავსულიყავი. როგორც იცით, „ოლიმპიასთან“ კონტრაქტი მაკავშირებს და უკვე მესამე წელია, მისი საკუთრება ვარ. მაგრამ, სამწუხაროდ, თამაში არ მიწევდა, რადგან ეს გუნდი უმაღლესი დონისაა არა მარტო სლოვენიაში, არამედ მთელ ევროპაში და იქ კი უდიდესი კონკურენციაა. პირველად, როცა სლოვენიაში ჩავედი, მხოლოდ თვრამეტი წლის ვიყავი და ჩემს გარდა მათ კიდევ ბევრი უცხოელი ჰყავდათ. ბუნებრივია, ჩემი ადგილი ძირითადში არ გამოინახა და საშუალო დონის „პოსტოინაში“ გამანათხოვრეს. იქ ძალიან ბევრს ვთამაშობდი, ყოველ მატჩში 30-35 წუთით გამოვდიოდი მოედანზე. „პოსტოინაში“ საკმაოდ დიდი გამოცდილება შევიძინე. მომდევნო სეზონიდან უფრო ძლიერ გუნდში, დედაქალაქის „სლოვანში“ გამანათხოვრეს. „სლოვანი“ ძირითად აქცენტს დაცვასა და თამაშის ტაქტიკურ მხარეზე აკეთებდა და ამ თვალსაზრისითაც ბევრი რამ ვისწავლე. დიდი მადლობელი ვარ იქაური მწვრთნელის, ტომო მაჰორიჩისა, რომელიც ძალიან ძლიერი სპეციალისტია, კარგა ხნის განმავლობაში „ოლიმპიას“ მეორე მწვრთნელად მუშაობდა. მას დიდი წვლილი მიუძღვის ჩემი, როგორც კალათბურთელის ჩამოყალიბებაში. ახლა, როცა „სლოვანში“ განათხოვრების ვადაც გავიდა, „ოლიმპიამ“ კვლავ თავისთან მიხმო და შეკრებაზე მივფრინავ. ვნახოთ, რა გამოვა. უდიდესი სურვილი მაქვს, ძირითად ათეულში მოვხვდე. ეს ჩემი უპირველესი მიზანია და ამისთვის არაფერს დავიშურებ.

**— როგორი სახის შეკრებას გაიარეთ?**

— ჩემი ჩასვლიდან მეორე დღეს „ოლიმპია“ სრული შემადგენლობით მიემგზავრება იუგოსლავიაში. მეც მათთან ერთად წავალ. იქ ბელგრადის გუნდთან რამდენიმე ამხანაგურ მატჩს გავმართავთ, შემდეგ რომელიმე ქალაქში შეკრებაზე წავალთ და რამდენიმე ხნით დავრჩებით. სწორედ ამ თამაშებსა და შეკრებაზე გაირკვევა იმ ათი კაცის ვინაობა, რომლებიც მომავალი სეზონიდან ძირითად შემადგენლობაში ითამაშებენ.

**— იმ შემთხვევაში, თუ ათეულში ვერ მოხვდით, „სლოვანში“ დარჩებით?**

— მართალია, „სლოვანს“ ამის დიდი სურვილი აქვს, მაგრამ მე „ოლიმპიაში“ თამაში მწადია და თუ ძირითადში არ შემიყვანეს, მაშინ ალბათ, სხვა ქვეყანაში გადავალ.

**— რომელიმე კლუბი ხომ არ შეგხმიანებიათ?**

— წინადადებები არის.

**— კერძოდ?**

— მაპატიეთ, მაგრამ ამას ჯერ ვერ გავამხელ. ერთი პრობლემაც არსებობს. „ოლიმპიასთან“ კიდევ ორი წლითა ვარ დაკავშირებული და თუ სხვა გუნდში გადასვლას მოვინდომებ, ეს საქმე სასამართლოს გვერდის ავლით არ გამოვა. ამას კი სულ ცოტა თვენახევარი დასჭირდება და შეიძლება უგუნდოდ დავრჩე. მაგრამ ჩემთვის ამ ეტაპზე მთავარი „ოლიმპიაში“ მოხვედრაა და მხოლოდ ამაზე ვფიქრობ. ისე, თუ გაინტერესებთ, ჩემთვის იდეალური ვარიანტი მაინც „ოლიმპიაა“.

**— „ოლიმპიაში“ დარჩენის შემთხვევაში სანაკრებო შეკრებაზე თუ ჩამოხვალთ?**

— თუ ყველაფერი კარგად დამთავრდა და ძირითადში ამიყვანეს, მაშინ შეკრებაზე ჩამოსვლას ვერ მოვახერხებ, რადგან განსაკუთრებულ რეჟიმში ვიქნები. სათამაშოდ, ალბათ, პირდაპირ ბულგარეთში ჩავალ. მაგრამ არ გამოვრიცხავ იმასაც, თუ ჩვენი ფედერაციისა და კერძოდ, ვიცე-პრეზიდენტ დუდუ დადიანის დაჟინებული მოთხოვნა იქნება, განსაზღვრულ ვადებამდე რამდენიმე დღით ადრე გამომიშვან.

**— ნაკრები ვახსენეთ. როგორ შეაფასებდით ჩვენი გუნდის გამოსვლას ამ ეტაპზე?**

— რა თქმა უნდა, დადებითად. აქამდე ჩვენი ნაკრების ნათამაშევ მატჩებს რომ ვიხსენებ, დიდ განსხვავებას ვხედავ. წინსვლა აშკარაა. ეს ძირითადად ახალგაზრდების ხარჯზე მოხდა. განსაკუთრებით მინდა გამოვყო ზაზა ფაჩულია, რომელიც თვიდან თვემდე უმატებს. ის, რომ ნაკრების ხელმძღვანელობამ აქცენტი ახალგაზრდებზე გააკეთა, ძალიან კარგია და ასეც უნდა გაგრძელდეს.

**— ნაკრების გასვლით მატჩებზე რას იტყოდით?**

— ჩვენმა გუნდმა დაამტკიცა, რომ ძალუძს მაღალ დონეზე თამაში. მართალია, შინ ვთამაშობდით, მაგრამ რომ გავიმარჯვეთ, ეს ჩვენს სიძლიერეზე მეტყველებს. ვფიქრობ, ჩვენთვის გადამწყვეტი ბულგარელებთან შეხვედრა იქნება. თუ მათი დამარცხება თბილისში თექვსმეტი ქულით მოვახერხეთ, რატომ ვერ უნდა მოვუგოთ ბულგარეთში თუნდაც ერთი ქულით? გასაგებია, რომ ისინი შინ ძალიან დიდ ძალას წარმოადგენენ, რაც ბელარუსთან მატჩებმაც ცხადყო, მაგრამ ამას არ უნდა შეეშინდეთ. უნდა ვიბრძოლოთ და შედეგსაც მივაღწიოთ.

**— ესე იგი, ფიქრობთ, რომ შემდეგ ეტაპზე გავალთ?**

— უეჭველად.

**ირაკლი პერტაია**

# ევროლიგას სამეღა ...

Euroleague

გუშინ ის 29 გუნდი დადგინდა, რომელთა მონაწილეობას 2001-2002 წლების ევროლიგის გათამაშებაში წყალი აღარ გაუვა. შეგახსენებთ, რომ წინა სეზონში ორად გაყოფილი ევროპის საკლუბო კალათბურთი გაერთიანდა და კონტინენტის უძლიერესი გუნდები კვლავ ერთ ტურნირში იასპარეზებენ. ევროლიგაში 32 მონაწილე იქნება, დარჩენილი სამის ვინაობა კი სექტემბერში, შესარჩევი ტურნირის შემდეგ გაირკვევა.

**2001-2002 წლების ევროლიგაში ითამაშებენ:**

*საბერძნეთი: აეკ (ათენი), ოლიმპიაკოსი (პირეოსი), პანათინაიკოსი (ათენი), პერისტერი (ათენი)*
*იტალია: კინდერი (ბოლონია), ფორტიტუდო (ბოლონია), ბენეტონი (ტრევიზო), სკავოლინი (პეზარო)*
*ესპანეთი: უნიკახა (მალაგა), რეალი (მადრიდი), ბარსელონა, ტაუ (ვიტორია)*
*ხორვატია: ციბონა (ზაგრები), ზადარი*
*საფრანგეთი: ვილერბანი, პო ორტეზი (პო)*
*გერმანია: ალბა (ბერლინი), სკაილაინერზი (ფრანკფურტი)*
*თურქეთი: ულქერი (სტამბოლი), ეფესი (სტამბოლი)*
*იუგოსლავია: ბუდუჩნოსტი (პოდგორიცა), პარტიზანი (ბელგრადი)*
*ბელგია: ოსტენდე*
*ინგლისი: ლონდონ თაუერზი (ლონდონი)*
*ისრაელი: მაკაბი (თელ ავივი)*
*ლიტვა: ჟალგირისი (კაუნასი)*
*პოლონეთი: შლიონსკი (ვროცლავი)*
*რუსეთი: ცსკა (რუსეთი)*
*სლოვენია: ოლიმპია (ლიუბლიანა)*

დარჩენილი სამი საგზურისთვის შესარჩევ ტურნირში ითამაშებენ ხორვატიის, საფრანგეთის, გერმანიის, ისრაელის, ლიტვის, პორტუგალიის, რუსეთის, სლოვენიის, შვედეთის, შვეიცარიის და თურქეთის გუნდები.

2001-2002 წლების ევროლიგის პირველ ეტაპზე შეიქმნება ოთხი რვაგუნდიანი ჯგუფი. თითო გუნდი მიმოსვლით გამართავს 14 შეხვედრას. ჯგუფების ოთხ-ოთხი საუკეთესო გავა მეორე ეტაპზე.

მეორე ეტაპზე შეიქმნება ოთხი ოთხგუნდიანი ჯგუფი თითო გუნდი მიმოსვლით გამართავს 6 შეხვედრას. ჯგუფების გამარჯვებულები გავლენ „ოთხთა ფინალში“.

2001-2001 წლების ევროლიგა ოქტომბერში დაიწყება.

**წლევანდელი სუპროლიგის ფინალი. არიელ მაკდონალდის (ბურთით) „მაკაბი“ და მიხაელ კოხის „პანათინაიკოსი“ გაისად ევროლიგაში ითამაშებენ**


**რეკლამა სარბიელ-ში**

Tel: 39 40 08,
93 16 08;
Fax: 94 33 80


**ესპანეთი**

**პლეი ოფი**

ნახევარფინალი (სამ მოგებამდე)

| | |
|---|---|
| **რეალი** | **3** |
| **ტაუ** | **2** |

**რეალი 76:71 ტაუ**

ფინალი (სამ მოგებამდე)

**ბარსელონა — რეალი**

*სერია დაიწყება 16 ივნისს*


**იყიდება**

ორსართულიანი კერძო ბინა დოლიძის ქუჩაზე,
170 კვ.მ. საერთო ფართით, გარაჟით,
50 კვ.მ. ხეხილიანი ეზოთი. ფასი შეთანხმებით



**ტელ: 78 28 77**

# ცეკვეზი ჩოგნეზთან

ჯენიფერ კაპრიატი როლან გაროსის ჩემპიონობით ტკბება

**მას** შემდეგ, რაც ჯენიფერ კაპრიატიმ ავსტრალიის ღია პირველობაზე მოპოვებულ ტიტულს გასულ შაბათს ზედ როლან გაროსისაც მიაყოლა, ჰოლივუდისგან კიდევ ერთ გულისამაჩუყებელ, ჰეფი-ენდიან ფილმს ნაღდად ვეღარ ავცდებით. მომავალ შედევრში კაპრიატის ბნელი წარსული უეჭველად ვარდისფერი გახდება, მთავარი უარყოფითი პერსონაჟები, რომლებსაც, ვთქვათ, მარტინა, ვინუსი და ლინდსი ერქმევათ, საშინელ შექმულებას მოაწყობენ მსოფლიოში ყველაზე ნიჭიერი კოლეგის წინააღმდეგ, იქნებ გეიმებს შორის შესვენებაზე თვალში ჩუმად ნაცარი შეაყარონ ან „კოკა-კოლაში“ დასაძინებელი წამალი ჩაუყარონ, მაგრამ ფეხის, ხელის და ნეკნების ტრავმებთან მებრძოლი ჯენიფერი მაინც ყველა მეტოქეს ჩამოიცილებს გზიდან, ყველას შეუნდობს ცოდვებს და „ფლეშინგ მედოუზის“ ცენტრალურ კორტზე გრძელ სიტყვას წარმოთქვამს.

თუ ფილმის სავარაუდო სიუჟეტი არადამაჯერებლად მოგეჩვენათ, ზურგს პარიზში მყოფი ერთი ამერიკელი ჟურნალისტის სიტყვებით გავიმაგრებ. პრესკონფერენციაზე ამ უკანასკნელმა კაპრიატის მოახსენა, რომ ის ყველაზე კაშკაშა და შეუდარებელ მისაბაძ მაგალითს წარმოადგენდა ამერიკელი და საერთოდ, მსოფლიოს ახალგაზრდობისთვის.

ჯენიფერს, რომელსაც კარგად ახსოვს ახლო წარსულში ნარკოტიკების ხმარების გამო სარეაბილიტაციო კლინიკებში გატარებული დღეები და ქურდბაცაცობისთვის საპოლიციო უბანში ფოტოგრაფის წინ პოზირება, ეს კომპლიმენტი, საბედნიეროდ, არ შეუფერებია.

სანამ კაპრიატის თავისი ავტობიოგრაფიის გამოქვეყნებითა და ეკრანიზირებით რამდენიმე მილიონი მწვანით მოუთბია ხელი, ორი-სამი წელი გაივლის, მანამ კი მან კიდევ ერთი რამ — კლასიფიკაციის პირველი ადგილი უნდა დაიპყროს. პარიზული ტრიუმფის შემდეგ ამერიკელი საუკეთესოთა ნუსხაში ისევ მეოთხე ადგილზე დარჩა, თუმცა წინ გაჭრილ სამეულს უკვე შესამჩნევად მიახლოვდა. გამორიცხული არაა, უიმბლდონის დასრულების შემდეგ ის მსოფლიოს მეორე ჩოგანი გახდეს და დევენპორტ-უილიამსიც უკან მოიტოვოს.

„უიმბლდონის დაწყებამდე ძალიან ცოტა დრო რჩება. რამდენიმე დღე დავისვენებ, მოვეშვები და იმედია, ლონდონში მთელ ყურადღებას ჩოგბურთზე გავამახვილებ, მთელ ამ თავგადასავალს თავიდან ამოვიგდებ. მე მიყვარს ბალახი, იქ გათამაშებები მოკლეა, ბევრს არ ფიქრობ და არ დარბიხარ“ — განაცხადა ამერიკელმა რამდენიმე დღის წინ.

მშობლიურ ბელგიაში საჩოგბურთო ციებ-ცხელების ინიციატორები — კიმ კლაისტერსი და ჟიუსტინ ენენი ორშაბათიდან საუკეთესოთა ათეულში დამკვიდრდნენ. 18 წლის კლაისტერსიცა და მის მიერ როლან გაროსის ნახევარფინალში დამარცხებული 19 წლის ენენიც სამშობლოში ეროვნულ გმირებად შერაცხეს, უკან დაბრუნებისას სამეფო სასახლეში მიიწვიეს და ქების სიტყვები პირადად ქვეყნის პრემიერ-მინისტრ გაი ვერჰოფშტადტისგან მოისმინეს.

წარმატებას კლაისტერსისთვის უარყოფითი შედეგებიც მოჰყვა. ჩოგბურთელი და მისი ოჯახი ძალიან აღაშფოთა ფლანდრიის რეგიონალური ფედერაციის მთავარი სპონსორის მიერ გაკეთებულმა რეკლამამ, რომელზეც კიმის სახე ცნობილი ფრანგი მხატვრის, ეჟენ დელაკრუას სურათს მიაბეს ნახევრად შიშველი რევოლუციონერის გამოსახულებით.

„საათკენ მიდის მსოფლიო, როდესაც ჩვენს უკითხავად ფირმა ასე ითბობს ხელს კიმის წარმატებაზე“ — განაწყენდა ჩოგბურთელის მამა, ბელგიის 1989 წლის საუკეთესო ფეხბურთელი ლეო კლაისტერსი.

ვაჟებს შორის „თიხნარის მეფემ“, გუსტავო კუერტენმა როლან გაროსის მოგების შედეგად მსოფლიოს პირველი ჩოგნობა ხომ გაიმყარა, წლევანდელი შედეგებით შედგენილ „ჩემპიონთა რბოლასაც“ ჩაუდგა სათავეში. თუმცა ბრაზილიელი უიმბლდონის დროს შვებულების მოწყობას გეგმავს და ალბათ, ორივეგან თუ არა, ამ უკანასკნელში მაინც დაკარგავს ლიდერობას.

**ავთანდილ სვანიძე**

# ტაი-ბრეიკი



მარტინა ჰინგისს მალე ისევ სასამართლოში ვიხილავთ

# რა ღირს მარტინას ფეხები?

**თუ** ჯენიფერ ლოპესის უკანალი მილიარდ დოლარდაა შეფასებული, რა ღირს მსოფლიოს პირველი ჩოგნის, მარტინა ჰინგისის ერთ-ერთი მთავარი დამტყმელი ძალა — მისი ფეხები? 20 წლის შვეიცარიელის პასუხი ამ კითხვაზე 40 მილიონი დოლარი იქნება (ჩოგბურთელის ქონების, დაახლოებით, ნახევარი). ყოველ შემთხვევაში, სწორედ ამდენს ითხოვს მარტინა მისი ძველი სპონსორის, იტალიური ფირმა „სერჯო ტაჩინისგან“.

სამშაბათს ჰინგისმა მანჰეტენის სასამართლოში საქმე აღძრა იტალიელების წინააღმდეგ და ამტკიცებს, რომ ფირმის უხარისხო ფეხსაცმელებით ასპარეზობამ ფეხის ტრავმები გამოიწვია და რამდენიმე ტურნირზე ასპარეზობაზე უარი ათქმევინა.

პირველად შვეიცარიელმა ფეხი 1998-ის აშშ-ის ღია პირველობაზე დაიშავა ნიუ იორკში. მაშინ ამერიკელმა ექიმმა დაადასტურა, რომ ტრავმა ქრონიკული იყო და „სერჯო ტაჩინის“ მიერ წარმოებულმა ფეხსაცმელებმა გამოიწვია. მოგვიანებით ჰინგისი თავად იტალიელების რეკომენდირებულ ესკულაპსაც გაესინჯა მილანში და ვერდიქტი ისევ იგივე გამოდგა: ფირმას ჩოგბურთელის ფეხსაცმელების დიზაინი უნდა შეეცვალა მეტი კომფორტისთვის, თუმცა ხარისხის გაუმჯობესებას საშველი არა და არ დაადგა.

1998 წლის ოქტომბრიდან 1999 წლის ივნისამდე მსოფლიოს პირველ ჩოგანს ფეხის ტკივილი ხშირად აწუხებდა და სამედიცინო დახმარების გაწევა 9 სხვადასხვა ტურნირზე დასჭირდა, ორჯერ კი თამაში საერთოდ ვერ შეძლო.

1996-ში იტალიურ ფირმასთან დადებული 5-წლიანი კონტრაქტის მიხედვით, ჰინგისს ამ ხნის მანძილზე 5,6 მილიონი დოლარი უნდა მიეღო. თუმცა 1999-ის 23 აპრილს პირადად სერჯო ტაჩინიმ აუწყა საზოგადოებას, რომ ჩოგბურთელი ქცევითა და შეურაცხმყოფელი განცხადებებით მათი პროდუქციის იმიჯს გამოუსწორებელ ზიანს აყენებდა, ამის მოთმენა მეტი აღარ შეიძლებოდა და ხელშეკრულებას აუქმებდა. ჰინგისის ადვოკატთა მტკიცებით, ყველაფერი ეს სიცრუე და ცილისწამებაა.

პასუხს არ დაუგვიანია. „ჩვენ მხოლოდ იმაზე გავამახვილებთ ყურადღებას, რომ „სერჯო ტაჩინის“ წყლებით მარტინა ჰინგისი მსოფლიოს ჩოგბურთის უცილობელი ლიდერი გახდა და ბოლო დიდი სლემის ტურნირიც ჩვენს პროდუქციაში გამოწყობილმა მოიგო“ — კოჟრზე დაადგეს ფეხი ჰინგისს იტალიელებმა და ისიც დაუმატეს, რომ ორი წლის წინ მილანში მან რამდენჯერმე უხეშად დაარღვია ჯერ კიდევ ძალაში მყოფი კონტრაქტი.

„ჰინგისმა თავი იმით გაიმართლა, რომ მისი სპონსორის წყლებში ფეხი ტკიოდა. მისი უსაფუძვლო პრეტენზიები მხოლოდ იმისკენ იყო მიმართული, რომ კონტრაქტის დარღვევისთვის დიდი ჯარიმა არ გადაეხადა.“

ამჟამად ჰინგისი გაცილებით მსხვილი და პოპულარული ფირმა „ადიდასის“ ტანსაცმელს ატარებს და ამაში იტალიელებთან ბავშვობაში დადებულ კონტრაქტზე გაცილებით მეტსაც უხდიან.

# შეეშვით ბეთჰოვენს

**უიმბლდონიდან** დაწყებული დიდი სლემის ტურნირებზე განთესილთა რაოდენობა 16-დან 32-მდე გაიზრდება — ამ გადაწყვეტილებამდე მივიდა პარიზში ოთხდღიანი მოლაპარაკებების შემდეგ სეზონის ოთხი მთავარი პირველობის ორგანიზატორებისგან შემდგარი სპეციალური კომიტეტი.

ცვლილებები ამით არ ამოიწურება. 32 პრივილეგირებულის ვინაობა ATP-სა (ვაჟების) და WTA-ს (ქალების) კლასიფიკაციას დაემთხვევა, მაგრამ განთესილთა თანამიმდევრობას თითოეულ „მეიჯორზე“ სხვა პარამეტრებითაც დაადგენენ, შესაბამის საფარზე წარსულში ნაჩვენები შედეგების გათვალისწინებით. მაგალითად, უიმბლდონზე მოთამაშეების საკლასიფიკაციო ქულებს გასულ ოთხ სეზონში ბალახზე მოპოვებული ჩინ-მედლები დაემატება და ოფიციალურ ნუსხაში მეოთხეადგილოსანი შვიდგზის ჩემპიონი პიტ სამპრასი, ალბათ, მაინც პირველად იქნება განთესილი.

ასეთივე სისტემა იმოქმედებს სხვა დიდი სლემის ტურნირებზეც. განთესილთა რაოდენობის 32-მდე გაზრდის შედეგად პირველ წრეში ძლიერი მოთამაშეების დაჯახების შანსიც შემცირდება (როგორც, ვთქვათ სამპრასი — ფილიპუსისი, ან უილიამსი — შეტი ბოლო ორი წლის როლან გაროსზე). „16 ჯადოსნური ციფრი არ იყო, მოულოდნელობები და სენსაციები კი პირველ დღეებში მაინც ბევრი იქნება. მე ამას ბეთჰოვენის მეხუთე სიმფონიას შევადარებდი. დიდი ხალპით დაწყება, რა თქმა უნდა, კარგია, მაგრამ გრანდ ფინალი — კიდევ უკეთესი“ — განაცხადა აშშ-ის ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა მერვ ჰელერმა.

ცვლილებების მიზეზი, როგორც ყველას მოგეხსენებათ, რამდენიმე თიხნარზე თამაშის ოსტატის მუქარა იყო, რომლებიც უიმბლდონზე განთესილთა შორის ვერმოხვედრის შემთხვევაში (აქ ადრე რჩეულთა სიას სუბიექტური სპეციალური კომისია ადგენდა) „ოლ ინგლენდ კლაბის“ ბოიკოტს აპირებდნენ. „ავანყებულთა“ ლიდერები — ხუან კარლოს ფერერო და ალექს კორეჩა ზემოხსენებული ღონისძიებებით დიდად კმაყოფილნი მაინც არ დარჩენილან.

„ეს უკან გადადგმული ნაბიჯი და დიდი შეცდომაა. თუ განთესვა მაინც წინ სეზონებში ნაჩვენები შედეგების მიხედვით მოხდება, მე ბოიკოტის მომხრე დავრჩები და, ალბათ, არც წავალ უიმბლდონზე“ — აღნიშნა ყოველდღიურ „მარკასთან“ ინტერვიუში ფერერომ.

„უიმბლდონზე ასპარეზობა მსურს, მაგრამ ჯერ ის უნდა ვნახო, მერამდენედ განმეორებულა. ბოლო მომენტამდე დავიცდი“ — ეს უკვე როლან გაროსის ფინალისტ ალექს კორეჩას სიტყვებია. ახალი სისტემით უკმაყოფილონი დარჩნენ მარატ საფინი და ევგენი კაფელნიკოვიც, ერთადერთი ტკბილი სიტყვა კი ისევ პიტ სამპრასმა გამოიმეტა.

# კლასიფიკაცია

## ძალები

| | | |
|---|---|---|
| 1.1. | მარტინა ჰინგისი (შვეიცარია) | 5685 |
| 2.2. | ვინუს უილიამსი (აშშ) | 4789 |
| 3.3. | ლინდსი დევენპორტი (აშშ) | 4328 |
| 4.4. | ჯენიფერ კაპრიატი (აშშ) | 4252 |
| 5.7. | სერენა უილიამსი (აშშ) | 2481 |
| 6.5. | ამელი მორესმო (საფრანგეთი) | 2367 |
| 7.14. | კიმ კლაისტერსი (ბელგია) | 2203 |
| 8.6. | მონიკა სელეში (აშშ) | 2146 |
| 9.16. | ჟიუსტინ ენენი (ბელგია) | 1915 |
| 10.9. | ანა კურნიკოვა (რუსეთი) | 1893 |
| 11.10. | ელენა დემენტიევა (რუსეთი) | 1819 |
| 12.11. | ნატალი ტოზია (საფრანგეთი) | 1782 |
| 13.13. | ამანდა კუტცერი (სამხრეთ აფრიკა) | 1727 |
| 14.15. | მაგდალენა მალეევა (ბულგარეთი) | 1608 |
| 15.8. | არანჩა სანჩეს-ვიკარიო (ესპანეთი) | 1538 |
| 16.19. | ელენა დოკიჩი (იუგოსლავია) | 1423 |
| 17.21. | სანდრინ ტესტიუ (საფრანგეთი) | 1408 |
| 18.23. | სილვია ფარინა (იტალია) | 1404 |
| 19.20. | მეგან შონესი (აშშ) | 1389 |
| 20.17. | ანკე ჰუბერი (გერმანია) | 1372 |
| 21.12. | კონჩიტა მარტინესი (ესპანეთი) | 1363 |
| 22.24. | ემი ფრეზერი (აშშ) | 1347 |
| 23.25. | ბარბარა შეტი (ავსტრია) | 1335 |
| 24.28. | პაოლა სუარესი (არგენტინა) | 1164 |
| 25.27. | ლაიზა რეიმონდი (აშშ) | 1120 |
| 26.26. | მაუი სერნა (ესპანეთი) | 1118 |
| 27.33. | ჰენრიეტა ნაგიოვა (სლოვაკეთი) | 1090 |
| 28.22. | ჩანდა რუბინი (აშშ) | 1073 |
| 29.29. | ტამარინ ტანასუგარნი (ტაილანდი) | 1042 |
| 30.30. | ანხელეს მონტოლიო (ესპანეთი) | 1038 |
| 35.51. | ფრანჩესკა სკიავონე (იტალია) | 846 |
| 37.62. | ლინა კრასნარუცკაია (რუსეთი) | 783 |
| 67.131. | პეტრა მანდულა (უნგრეთი) | 464 |
| 75.18. | მარი პირსი (საფრანგეთი) | 431 |

## ვინ რამდენი $ მოისვეჭა 2001-ში

| | | |
|---|---|---|
| 1. | ჯენიფერ კაპრიატი | 1 526 640 |
| 2. | მარტინა ჰინგისი | 1 057 942 |
| 3. | ვინუს უილიამსი | 781 722 |
| 4. | სერენა უილიამსი | 621 872 |
| 5. | ამელი მორესმო | 620 202 |
| 6. | ლინდსი დევენპორტი | 574 178 |
| 7. | კიმ კლაისტერსი | 545 362 |
| 8. | ელენა დოკიჩი | 375 951 |
| 9. | ჟიუსტინ ენენი | 348 502 |
| 10. | პაოლა სუარესი | 337 914 |
| 11. | მეგან შონესი | 323 436 |
| 12. | ამანდა კუტცერი | 309 944 |
| 13. | არანჩა სანჩეს-ვიკარიო | 289 830 |
| 14. | კონჩიტა მარტინესი | 277 476 |
| 15. | ლაიზა რეიმონდი | 267 817 |

## კლასიფიკაცია კველი სისტემით

### ბიჭები

| | | |
|---|---|---|
| 1.1. | გუსტავო კუერტენი (ბრაზილია) | 4150 |
| 2.3. | ანდრე აგასი (აშშ) | 3810 |
| 3.2. | მარატ საფინი (რუსეთი) | 3590 |
| 4.5. | პიტ სამპრასი (აშშ) | 2845 |
| 5.4. | ხუან კარლოს ფერერო (ესპანეთი) | 2830 |
| 6.6. | ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია) | 2715 |
| 7.7. | ევგენი კაფელნიკოვი (რუსეთი) | 2605 |
| 8.10. | სებასტიან გროჟანი (საფრანგეთი) | 2405 |
| 9.13. | ალექს კორეჩა (ესპანეთი) | 2275 |
| 10.8. | პატრიკ რაფტერი (ავსტრალია) | 2185 |
| 11.11. | ტიმ ჰენმანი (ინგლისი) | 1950 |
| 12.12. | არნო კლემანი (საფრანგეთი) | 1870 |
| 13.14. | ტომას ენკვისტი (შვედეთი) | 1800 |
| 14.18. | როჯერ ფედერერი (შვეიცარია) | 1580 |
| 15.15. | ჟან-მაიკლ გემბილი (აშშ) | 1545 |
| 16.19. | უეინ ფერერა (სამხრეთ აფრიკა) | 1370 |
| 17.9. | მაგნუს ნორმანი (შვედეთი) | 1340 |
| 18.17. | მარკ ფილიპუსისი (ავსტრალია) | 1330 |
| 19.20. | ტომას იოჰანსონი (შვედეთი) | 1300 |
| 20.21. | დომინიკ ჰრბატი (სლოვაკეთი) | 1295 |
| 21.22. | ტომი ჰაასი (გერმანია) | 1255 |
| 22.24. | კარლოს მოია (ესპანეთი) | 1230 |
| 23.23. | ალბერტ პორტასი (ესპანეთი) | 1220 |
| 24.16. | ფრანკო სკილარი (არგენტინა) | 1193 |
| 25.25. | გილერმო კორია (არგენტინა) | 1087 |
| 26.27. | ჰიშამ არაზი (მაროკო) | 1070 |
| 27.28. | ნიკოლას კიფერი (გერმანია) | 1045 |
| 28.29. | დევიდ პრინოშილი (გერმანია) | 1040 |
| 29.31. | სხენგ შალკენი (ჰოლანდია) | 1033 |
| 30.30 | ვლადიმირ ვოლჩკოვი (ბელარუსი) | 1020 |
| 33.43. | ფაბრის სანტორო (საფრანგეთი) | 985 |
| 43.48. | ენდი როდიკი (აშშ) | 883 |
| 61.76. | გალო ბლანკო (ესპანეთი) | 679 |
| 88.122. | მაიკლ რასელი (აშშ) | 486 |

## ჩემპიონთა რბოლა 2001 (მხოლოდ წლევანდელი შედეგები)

| | | |
|---|---|---|
| 1. | გუსტავო კუერტენი | 490 |
| 2. | ანდრე აგასი | 484 |
| 3. | ხუან კარლოს ფერერო | 451 |
| 4. | სებასტიან გროჟანი | 323 |
| 5. | ლეიტონ ჰიუიტი | 281 |
| 6. | ევგენი კაფელნიკოვი | 233 |
| 7. | ალექს კორეჩა | 231 |
| 8. | როჯერ ფედერერი | 225 |
| 9. | ჟან-მაიკლ გემბილი | 191 |
| 10. | არნო კლემანი | 185 |
| 11. | ალბერტ პორტასი | 176 |
| 12. | პატრიკ რაფტერი | 174 |
| 13. | კარლოს მოია | 171 |
| 14. | ტიმ ჰენმანი | 160 |
| 15. | გილერმო კორია | 150 |

სარბიელი

**სპორტული ლატარია**

CROCO

BOOKMAKERS

**კროკო**


ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქების სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება.

## კროკოს ბიუროთა მისამართები


ეროვნული ბიბლიოთეკა


| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში |
| | აღმაშენებლის გამზირი | №2 ცენტრალური ფოსტამტი |
| | გლდანი | I სავაჭრო ცენტრი |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან“ (ყოფილი „დელისი“) |
| | წინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან“ |
| | წერეთლის გამზირი №11 | |
| | ჭავჭავაძის გამზირი № 41 | |
| ქუთაისი | პუშკინის ქუჩა№16 | ტელეკომპანია „ივერიონის“ შენობაში |
| | ფალიაშვილის ქუჩა№ 27 | |
| გორი | სტალინის ქუჩა №30 | ჭადრაკის კლუბი |
| თელავი | კოსტავას ქუჩა №23 | |
| რუსთავი | შარტავას ქუჩა №7 | |
| ბათუმი | მემედ აბაშიძის ქუჩა №21 | ყოფილი სტალინის ქუჩა |
| | ერას ქუჩა №61 | ყოფილი გორკის ქუჩა |
| | ჯავახიშვილის ქუჩა №78 | |
| | ჭავჭავაძის ქუჩა № 113 | |
| ქობულეთი | აღმაშენებლის ქუჩა №106 | |
| მარნეული | რუსთაველის ქუჩა №39 | |
| ოზურგეთი | გურიის ქუჩა №23 | |

# გათამაშების წესები

**თამაშში** მონაწილე პირის მიზანია, გამოიცნოს ტირაჟში მოცემული სპორტული შეჯიბრების შედეგი, სპორტის სათამაშო სახეობებში მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). ფსონების სია ქვეყნდება გაზეთ „სარბიელში“. სიაში მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოსვლის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დააზუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ვარიანტში აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნამრავლი 1000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმოჩნდება შეტანილი, ქვითრის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო“-ს მატჩთა სიაში.

ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:

1. ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ
2. შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მინდორზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება
3. შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება)
4. მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში
5. წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი
6. არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთ-ერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატჩიან სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ).

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვითარი უნდა შეივსოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვითრის ფანქრით ან წითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასნორებული ქვითარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა. ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვითარი თვითკოპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვითარი უნდა ჩაბარდეს „კროკო“-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვითარის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვითარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვითრების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო“-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თანხა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღდებს იმ ქვითრებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო“-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო“-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ოდნავ... თუმცა მაინც კოლორადო

**გულახდილად გეტყვით, პროგნოზების გაკეთება არსდროს მიტაცებდა. წინსწარი შეფასებიდან გამომდინარე, ქალალდზე თითქოს ყველაფერი აშკარა და გასაგებია, მაგრამ ყინულზე ისეთი რამ მოხდება... აი, ამჯერად კი რატომღაც დარწმუნებული ვიყავი, ნიუ ჯერსი მოიგებდა. ამის საფუძველს „ეშმაკთა" დამაჯერებელი თამაში მაძლევდა. კოლორადოს ხომ გარკვეულწილად მაშინაც უჭირდა, როცა პეტერ ფორსბერგი ჯანმრთელად იყო.**

**მეტსაც გეტყვით, ნიუ ჯერსი არა მარტო დამაჯერებლად, არამედ ლამაზად, შთამბეჭდავად ასპარეზობდა და, გამოგიტყდებით, ფინალში სწორედ მას ვქომაგობდი. ასეთ დროს ძნელია, ობიექტურობის შენარჩუნება, სულ გგონია, რომ შენს საყვარელ გუნდს ბედი არ სწყალობს... თუმც ახლა ეს აღარ ითქმის. ფინალის ბოლო მატჩის შემდეგ ოთხი დღე გავიდა და ემოციური ფონიც ერთობ გაფერმკრთალდა. თავიდანვე შევთანხმდეთ, რომ კოლორადოს უპირატესობებზე საუბრისას სიტყვა „ოდნავ" ყოველთვის უნდა ვიგულისხმოთ. სერია 4:3 დასრულდა, რაც თავისთავად მეტყველებს იმაზე, რომ კოლორადოს მეტოქეზე უპირატესობა მინიმალური იყო.**

**ახლა კი მიზეზები, რომელთაც, ჩემი აზრით, კოლორადოს მოგება განაპირობეს.**




REUTERS დეზერიდან

რეი ბურკი პატრიკ რუას (№33) და კრის დრურის ულოცავს



REUTERS დეზერიდან

კოლორადოს კაპიტანი ჯო საკიკი სტენლის თასით

REUTERS დეზერიდან

პატრიკ რუა

## კოლორადოს უზრო მეტად სურდა მოგება

ვფიქრობ, ეს „ეველანშის" მოგების პირველი ლაიტმოტივია. „ეშმაკების" შარშანდელი საჩემპიონო შემადგენლობა თითქმის უცვლელი დარჩა (მხოლოდ ორი-სამი, ისიც ნაკლებმნიშვნელოვანი ჰოკეისტი შეიმატეს), ამიტომაც გუნდის ძირითად ჰოკეისტებს სადღაც ქვეცნობიერებაში ეს ფაქტი აღბეჭდილი ჰქონდათ. სხვა საქმეა კოლორადო, რეი ბურკზე უკვე იმდენი ითქვა, რომ ახალს ვეღარაფერს მოგახსენებთ, მაგრამ მოდით, ისიც გავიხსენოთ, რომ 1996 წლის საჩემპიონო შემადგენლობიდან კოლორადოს მხოლოდ 6 კაცი შერჩა, დანარჩენებმა კი ბოლო წლებში ბევრი რამ გადაიტანეს (თუნდაც დალასთან შარშანდელი მარცხი რად ღირს) და მათ ძალიან სურდათ, დაემტკიცებინათ, რომ კოლორადოს გამარჯვებულის ფსიქოლოგია არ დაუკარგავს. ნურც იმას დავივიწყებთ, რომ კიდევ ერთი ლიდერი, გუნდში წლეულს მისული რობ ბლეიკი 33 წლისაა და მანამდე მას მხოლოდ ერთხელ, 1993 წელს, უთამაშია ფინალში (მაშინ მისი ლოს ანჯელესი მონრეალთან დამარცხდა). როგორ ჩაატარა ბლეიკმა ფინალური სერია, ალბათ კარგად გახსოვთ.

## თასის MVP ბობ ჰარტლი იყო

ცოდვა აქაც მიმიძღვის, რადგან ბობ ჰარტლის, როგორც დიდი მწვრთნელის, ნაკლებად მჯეროდა. ეს აზრი იმავე დალასთან ზედიზედ ორი მარცხის შემდეგ გაჩნდა, ვინაიდან მაშინ კოლორადო უფრო ძლიერი მოთამაშეებით იყო დაკომპლექტებული. წლეულს კი ჰარტლიმ მაიძულა, აზრი შემეცვალა და აი, რატომ: დამერწმუნეთ, ყველა მწვრთნელი ვერ გააკეთებდა იმას, რაც მან შეძლო. როცა კოლორადო უფორსბერგოდ დარჩა, ლამის ყველამ, როგორც ნახევარფინალში, ისე ფინალში, „ეველანშის" მეტოქე ჩათვალა ფავორიტად, მაგრამ ჰარტლიმ შეძლო გუნდის გამხნევება და საკუთარი ძალების რწმენის შენარჩუნება. გარდა ამისა, მან დროულად შეაგნებინა შეგირდებს, რომ ამჟერიდან გუნდი შემტევ ჰოკეის ვეღარ ითამაშებს და აქცენტი დაცვაში თავგანწირულ შრომაზე, შანსების მაქსიმალურ გამოყენებასა და დისციპლინაზე უნდა გააკეთოს. როგორც აღმოჩნდა, ჰარტლის დარიგებები გუნდმა ყურად იღო და უაღრესად კრიტიკულ მომენტშიც არ უღალატა ამ ტაქტიკას.

## რშამ ბროდოს აჯობა

ვიცი, ამაში მკითხველი დაეჭვდება, რადგან კარგად ახსოვს ის სულელური შეცდომა, რომელიც პატრიკ რუამ მეოთხე მატჩში დაუშვა და რამაც კანადამ სერიის ბედი გადაწყვიტა ნიუ ჯერსელთა სასარგებლოდ, თუმც საქმეც ისაა, რომ ეს შეცდომა ძალიან დიდი იყო, მაგრამ ერთადერთი. მანამდეც და მერეც პატრიკ რუა შეუდარებელი გახლდათ. ამიტომაც თასის MVP სწორედ იგი გახდა. რუა ისე დამაჯერებლად ასპარეზობდა, რომ პარტნიორებშიც აღვივებდა რწმენას, რასაც ბროდოზე ვერ ვიტყვით. აშკარად მის სინდისზე თითქოს არც ერთი გოლი არ იყო, მაგრამ გუნდის ხსნა ვერ შეძლო და ეს განსაკუთრებით ბოლო ორ მატჩში გამოჩნდა.

## ჯო და მისი ბიჭები

ფინალამდე ვინ წარმოიდგენდა, რომ კოლორადო მთლიანობაში 20 გოლს გაიტანდა, ნიუ ჯერსი კი — 11. „ეშმაკთა" თავდასხმა ხომ გაცილებით დაბალანსებული ჩანდა. და ეს მაშინ, როცა ფორსბერგის გარეშე კოლორადოს პრაქტიკულად ერთი სრულყოფილი შემტევი სამეულიღა შერჩა. მაგრამ საქმეც ის გახლავთ, რომ ამ ერთადერთმა სამეულმა უდიდესი საქმე გააკეთა. ცნობისთვის, ამ 20 გოლიდან 11 მაშინ გავიდა, როცა ყინულზე ჯო საკიკი, მილან ჰეიდუკი და ალექს ტანგეი იმყოფებოდნენ. სწორედ კოლორადოს პირველმა სამეულმა გადაწყვიტა პირველი, მეშვიდე და ნაწილობრივ მესამე მატჩის ბედი მაშინ, როცა მათმა ოპონენტებმა, ჯეისონ არნოტის ტრიომ მხოლოდ ერთი, მეოთხე თამაში მოაგებინა გუნდს.

ვფიქრობ, ეს არის კოლორადოს გამარჯვების მთავარი მიზეზები, თუმც რამდენიმე ნაკლებმნიშვნელოვან ფაქტსაც დავასახელებდი. მაგალითად, ნიუ ჯერსი გაცილებით თავშეუკავებელი იყო. განსაკუთრებით ხშირად კოლინ უაიტი და ბობი ჰოლიკი სცოდავდნენ. შედეგად სულელური ჯარიმების გამო „ეშმაკები" ხშირად თამაშობდნენ კაცნაკლულნი, ხოლო მწვრთნელი ლარი რობინსონი ლამის ყველა მატჩის შემდეგ ამბობდა, არიქა, ჩვენი უმცირესობის ბრიგადების თამაში რომ არა, ძალიან გაგვიჭირდებოდა. გარდა ამისა, ნიუ ჯერსიმ ვერ მოახერხა შესაძლოა, უფრო პრიმიტიულ, მაგრამ ეფექტიან ტაქტიკაზე გადასვლა. „ეშმაკები" ლამაზად და კომბინაციურად ცდილობდნენ მეტოქის დაცვის გატეხვას მაშინ, როცა შაიბის პრიმიტიულად ზონაში ჩაგდებისა და იქ ბრძოლის გაჩაღებისას კოლორადოს უფრო უჭირდა. ნიუ ჯერსიმ გადაწყობა ვერ მოახერხა და ბოლო მატჩებში გუნდს საამისო ძალაც აღარ შერჩა. ბოლოს იღბლის ფაქტორიც ვახსენოთ, ურომლისოდაც ასეთი თანაბარი ძალების მეტოქეების ჭიდილში მოგება წარმოუდგენელია.

პარადოქსულია, მაგრამ ნიუ ჯერსის მომავალს უფრო ოპტიმისტურად ვუყურებ. გუნდის ბირთვს ძალ-ღონით აღსავსე, შედარებით ახალგაზრდა ჰოკეისტები წარმოადგენენ, რომელსაც ზრდის პერსპექტივა აქვთ. მომავალ სეზონში ნიუ ჯერსის ბევრად არც დასჭირდება შემადგენლობის გადახალისება, კოლორადოს კი მძიმე ზაფხული ელის და შესაძლებელია, 2001-02 წლების სეზონს გუნდი რამდენიმე ლიდერის გარეშეც შეხვდეს. გაუთავდა კონტრაქტი ორ სუპერვარსკვლავს, ჯო საკიკს და რობ ბლეიკს. თამამად შეიძლება ითქვას, რომ 9-10 მილიონ დოლარზე ნაკლებ თანხაზე ისინი არ დათანხმდებიან. კოლორადოს ბიუჯეტი კი ისედაც ძალიან გაბერილია. ერთი დანაკლისი კი გუნდმა უკვე განიცადა. მიუხედავად იმისა, რომ 6,5 მილიონი დოლარი შესთავაზეს, სახელოვანმა რეი ბურკმა გადაწყვიტა, კარიერა დაასრულოს. მართალია, ოფიციალურად მას ამის თაობაზე არ განუცხადებია, მაგრამ „დენვერ პოსტის" თქმით, ამას ბურკი ივლისის დასაწყისში გააკეთებს. თავად რეიმაც დენვერში გამართულ საზეიმო პარადზე არაორაზროვნად მიანიშნა: „ბევრი ენერგია დამეხარჯა, ყველაფერი დიდებული იყო, მაგრამ ვეჭვობ, რომ კვლავ ასე ჯიგრიანად და მონდომებით შევძლო ასპარეზობა". თუმც ნუ გავუსწრებთ მოვლენებს და კიდევ ერთხელ მივულოცოთ ბრწყინვალე გუნდს, „კოლორადო ეველანშს", 2001 წლის სტენლის თასის მოგება.

**სამეელ ლარიბიანი**

### ბომბარდირები

საკიკი (კოლორადო) 26 (13+13); ელიაში (ნიუ ჯერსი) 23 (9+14); ჰეიდუკი (კოლორადო) 23 (7+16); სიკორა (ნიუ ჯერსი) 22 (10+12); ტანგეი 21 (6+15); ბლეიკი (ორივე კოლორადო) 19 (6+13); რაფალსკი (ნიუ ჯერსი) 18 (7+11); ლემიე (პიტსბურგი) 17 (6+11); დრური (კოლორადო) 16 (11+5); ჰოლიკი 16 (6+10); მოგილნი 16 (5+11); არნოტი (სამივე ნიუ ჯერსი) 15 (8+7); ტარჯონი (სენტ ლუისი) 15 (5+10); გომესი (ნიუ ჯერსი) 14 (5+9); ფორსბერგი (კოლორადო) 14 (4+10)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ათენის გრან პრი

# მორიგი ნაბიჯი რეკორდისკენ

REUTERS ათენიდან

მორის გრინმა (მარჯვნივ) ატო ბოლდონს კიდევ ერთხელ აწყენინა

**„ათენის გრან პრიმ“** ნაყოფიერად ჩაიარა. 2004 წლის ოლიმპიადის სარბიელზე ქანცგაწყვეტამდე ირბინეს, იხტუნავეს, ჭრეს და ტყორცნეს პლანეტის საკმაოდ ნარჩევმა მძლეოსნებმა და შედეგად სეზონის 10 რეკორდი დამყარდა, რაც ასევე სეზონის რეკორდია. თუმც შუბის ტყორცნამ უძლიერესი მოიხაკლისა — ჩეხი იან ჟელეზნი პოლონეთშია, სადაც ათდღიანი ტურნირების სერიაში ირჯება, ამიტომ სხვა მეკავლონიერმა მეშუბეებმა, მასპინძელმა კოსტადინოს გაციუდისმა და ფინელმა აკი პარვიაინენმა გაარკვიეს ურთიერთობები. ღუელი უაღრესად დაძაბული გამოდგა. სხვა მდევრები ძლიერ ჩამორჩნენ (უახლოესი, გერმანელი რაიმონდ ჰეხტი, 2 მეტრით) და ბოლოს, 10 ათასი ფანის გასახარად, გაციუდისმა ფინელ მეტოქეს 27 სანტიმეტრით გაუსწრო.

ტრიბუნებზე ოვაციებმა იფეთქა მაშინაც, როცა სიდნეის ოლიმპიადაზე 200 მეტრის ყველას გასაკვირად მომგებმა ბერძენმა, კოსტას კენტერისმა ათენშიც არავინ გაიკარა ახლოს. ძლიერი მეტოქეების კომპანიაში (ავაზასავით ნიგერიელი ფრენსის ობიკველუ უნდა გამოვყოთ) კენტერისმა საკმაოდ მალე ცხადყო, რომ გარბენის ფავორიტი იყო და აკი 0,3 წამით გაუსწრო კიდეც უახლოეს მდევარს. მოკლედ, სპრინტში აფრიკელი დამარცხდა და კაცმა რომ თქვას, რა აფრიკელის საქმეა 100 და 200 მეტრი? მიეცით მათ გზა გრძელი და ნებისმიერს გაუსწრებენ. ათენში აფრიკელებს დარჩათ კილომეტრნახევრისა და 5 კილომეტრის, აგრეთვე 3-კილომეტრიანი სტიპლჩეიზის მთელი პოდიუმები, ოღონდ ერთი რამ შევნიშნეთ: ნია ნგენის თავს რაღაც ხდება. კენიელმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა „სევილიის გრან პრი 2“-ის შემდეგ ეს უკვე მეორედ ვერ მოიგო თავის საფირმო 1500, ალჟირელმა ალი სიიდ საიდმა წამზე მეტით გაუსწრო. ან ნგენი „გრან პრის“ ეტაპებს ჯეროვან პატივს არ სცემს, ან კიდევ დროებით მოიშალა, მაგრამ ეს ცალკე თემაა და საგაზეთო ფართს მხოლოდ მსოფლიოს ჩემპიონატის დონის ტურნირზე იმსახურებს.

თუ სტეისი დრაგილას არ ჩავთვლით, მეჭოკე ქალთა სრული ელიტა ათენში იყო, ამიტომ მძაფრმა კონკურენციამ ევროპის რეკორდი შვა. რუსმა სვეტლანა ფეოფანოვამ 4,57 მეტრი დასძლია, რაც საცოდაობად ჩანს დრაგილას ამასწინანდელ 4,81-თან, მაგრამ იქვე იყო ძველი რეკორდის პატრონი უკრაინიდან, ანჟელა ბალახონოვა და მისი დაჯაბნა რუსს უნდა დავუფასოთ.

ქალთა 100-მეტრიანი გარბენი უაღრესად სანახაობრივი იყო. ადგილობრივი საზოგადოება მხიარულად ახმაურდა, როცა დიქტორმა კატარინა ტანუ გამოაცხადა და სიდნეის ოლიმპიადის ვიცე-ჩემპიონმაც აღმაფრენით ირბინა, მაგრამ იმ დღეს სხვა ქალებმა უფრო აიწყვიტეს და ტანუს 11,02-მა მხოლოდ მეოთხე ადგილისთვის იკმარა. უკრაინელმა ჟანა პინტუსევიჩმა, კამერუნელმა ლეონი მირიამ მანიმ და ამერიკელმა კელი უაიტმა 11 წამზე ნაკლები და თითქმის ერთნაირი შედეგებით პოდიუმი გაინაწილეს, მაგრამ ქალთა 100 მეტრი რა მოსატანია ვაჟთა იგივე დისციპლინასთან, სადაც გვერდიგვერდ, ვინ იცის, მერამდენედ დადგნენ ერთი მწვრთნელის გაზრდილები, მორის გრინი და ატო ბოლდონი.

ამაოდ ვიხსენებ შემთხვევას, ბოლდონს გრინისთვის გაესწროს და რაღა წლევანდელი სეზონი იქნება გამონაკლისი. მით უფრო, გრინი წლეულს ფანტასტიკური გეგმებით დარბის, რომელთაგან თავისივე მსოფლიოს რეკორდის (9,79 წმ) დამზობა და 9,6 წამში ჩატევა უმთავრესია. თურმე ნუ იტყვით და გრინს სწორედ ათენში ნდომებია ამის გაკეთება და 100 მეტრი სეზონის რეკორდით მოიგო თუ არა, მაშინვე აბუზღუნდა, ეს რა მომივიდა.

არადა, თითქმის ყველაფერი კოხტად გამოვიდა, მხოლოდ სტარტი იყო არასასურველი, რბენის დებიუტი საერთოდ გრინის მთავარი პრობლემაა. ბოლდონი მაშინვე წინ გავარდა და კუნთებადქცეული გრინი მხოლოდ მე-80 მეტრზე დაეწია ტრინიდადელს. გრინის დრო 9,91 წამი იყო, ბოლდონისა — 9,97, მესამე კი ამერიკელივე ბერნარდ ვილიამსი გახდა, ოღონდ ის 10 წამში ვერ ჩაეტია. 50 წამზე ნაკლები ეყო კეტრინ მერის 400 მეტრის მოსაგებად, რითაც ბრიტანელებმა გაიხარეს, ხოლო კუბელები მართლა ქების ღირსნი არიან. კომუნიზმი, კასტროს რეჟიმი, სიღარიბეო, ესაო, ისაო, მაგრამ სადაც გავლენ, ჯიგრიანად და ლამაზად ირჯებიან. ათენში ანიერ გარსიამ 110 მეტრზე ორი ქებული მოთარჯრბენე, კრის ფილიპსი და კოლინ ჯეკსონი ჩამოიტოვა. კიდევ ნახავთ კუბელებს პოდიუმის მოწინავე ადგილებზე, თუ შედეგთა განყოფილების წაკითხვას არ დაიზარებთ.

**დავით გულუა**

ვაჟები. შუბი: 1. კოსტადინოს გაციუდისი (საბერძნეთი) 88,89; 2. აკი პარვიაინენი (ფინეთი) 88,64; 3. რაიმონდ ჰეხტი (გერმანია) 86,64

100 მ: 1. მორის გრინი (აშშ) 9,91; 2. ატო ბოლდონი (ტრინიდადი და ტობაგო) 9,97; 3. ბერნარდ ვილიამსი (აშშ) 10,07

სიმაღლეზე ხტომა: 1. სერგეი დიმიტრენკო (უკრაინა) 2,31; 2. მარკ ბოსველი (კანადა) 2,30; 3. იაროსლავ რიბაკოვი (რუსეთი) 2,30

სიგრძეზე ხტომა: 1. ჯეიმს ბეკფორდი (იამაიკა) 8,18; 2. კევინ დილვორთი (აშშ) 8,13; 3. ივან პედროსო (კუბა) 8,10

5 000 მ: 1. სემი კიპკეტერი (კენია) 12.59,34; 2. ბენჯამინ ლიმო (კენია) 12.59,60; 3. ჯონ კიბოუენი (კენია) 12.59,97

200 მ: 1. კოსტას კენტერისი (საბერძნეთი) 20,10; 2. ფლოიდ ჰერდი (აშშ) 20,40; 3. ფრანსის ობიკველუ (ნიგერია) 20,59

3 000 მ. სტიპლჩეიზი: 1. ჯონ კოსგეი (კენია) 8.16,28; 2. აბრაჰამ ჩერონო (კენია) 8.16,57; 3. სტენლი კიბიფტი (კენია) 8.16,62

1 500 მ: 1. ალი სიიდ საიფი (ალჟირი) 3.30,78; 2. ნია ნგენი (კენია) 3.31,94; 3. ლაბან როტიხი (კენია) 3.33,66

110 მ თარჯრბენი: 1. ანიერ გარსია (კუბა) 13,30; 2. კრის ფილიპსი (აშშ) 13,36; 3. კოლინ ჯეკსონი (დიდი ბრიტანეთი) 13,36

ქალები. ჭოკით ხტომა: 1. სვეტლანა ფეოფანოვა (რუსეთი) 4,57; 2. ანჟელა ბალახონოვა (უკრაინა) 4,52; 3. ტატიანა გრიგორიევა (ავსტრალია) 4,47

100 მ: 1. ჟანა პინტუსევიჩი (უკრაინა) 10,93; 2. ლეონი მირიამ მანი (კამერუნი) 10,98; 3. კელი უაიტი (აშშ) 10,99

800 მ: 1. ზულია კალატაიუდი (კუბა) 1.59,00; 2. ფაბიანა დუშ სანტუში (ბრაზილია) 1.59,07; 3. ლუჩანა მენდესი (ბრაზილია) 1.59,46

400 მ: 1. კეტრინ მერი (დიდი ბრიტანეთი) 49,59; 2. ჰაიდე სეიერლინგი (სამხრეთ აფრიკა) 50,36; 3. ნაჯინა კალტუმა (ჩადი) 50,39

სამხტომი: 1. ტატიანა ლებედევა (რუსეთი) 14,9; 2. მაგდალენ მარტინესი (კუბა) 14,50; 3. ტერეზა მარინოვა (ბულგარეთი) 14,48

ბადრო: 1. ნიკოლეტა გრაგუ (რუმინეთი) 68,3; 2. ნატალია სადოვა (რუსეთი) 67,18; 3. ფრანკა დიჩი (გერმანია) 63,63

400 მ. თარჯრბენი: 1. დები ენ პერისი (იამაიკა) 54,55; 2. იონელა ტირლია (რუმინეთი) 54,98; 3. სურიტა ფაბრი�(სამხრეთ აფრიკა) 55,03

REUTERS ათენიდან

სვეტლანა ფეოფანოვამ ევროპის რეკორდი დაამყარა

ბრატისლავის გრან პრი 2

# გედის გადაფრენა

იანინა კოროლჩიკი

**რუსმა** ტატიანა ლებედევამ ძლივს მოასწრო „ათენის გრან პრიზე“ ქალთა სამხტომის მოგება და თვითმფრინავისკენ გაქანდა: ბრატისლავაში უნდა ჩასწრო „გრან პრი 2“-ის ეტაპისთვის. სლოვაკეთის დედაქალაქში საბერძნეთისაზე ბევრად ნაკლები, 3000 მაყურებელი მოგროვდა და არც ვარსკვლავთა სიმრავლე იყო თვალში საცემი. ოლიმპიური ჩემპიონებიდან მხოლოდ ბელარუსი მებირთვე ქალი, იანინა კოროლჩიკი ჩავიდა ბრატისლავას და ისე ვაჟკაცურად გაიმარჯა, სი ჯეი ჰანტერს შეშურდებოდა. კოროლჩიკის ბირთვმა საუკეთესო ვარიანტში 20 მეტრსა და 10 სანტიმეტრს უწია, ხოლო რადგან ბირთვის კვრისას ლამაზი თვალები ათლეტს არას არგია, მშვენიერი ასტრიდ კუმბერნუსი მეორე ადგილზე დარჩა სულ 19,02 მეტრით — ბელარუსი დიაცის უპირატესობა აშკარა იყო. მეოთხე და არა მესამე ადგილზე გავიდა რუსი სვეტლანა კრიველიოვა, თორემ სიმეტრიულად გამოვიდოდა: სიდნეის ოლიმპიადის ჩემპიონი (კოროლჩიკი) პირველ ადგილზე, ატლანტისა (კუმბერნუსი) — მეორეზე და ბარსელონასი (კრიველიოვა) — მესამეზე.

„სარბიელში“ სენეგალელ მძლეოსნებზე არასდროს დაგვიწერია და აჰა, ეს დღეც დადგა. სენეგალის რეკორდსმენმა უმარ ლუმმა ბრატისლავაში 200 მეტრი სიმპათიური 20,81 წამით მოიგო და ეს შედეგი უფრო სიმპათიური მაშინ გამოჩნდება, როცა ვიტყვით, რომ ლუმს წამში თითქმის 3 მეტრი სიჩქარით მქროლავი ნიავი უზუზუნებდა ყურებში, რაც სპრინტერისთვის ზომაზე მეტიც არის. იმავე პირობებში მელოდიური გვარის მქონე ჩეხმა, იან მუზიკმა, 400 მეტრიანი თარჯრბენი მოიგო და სულ თავში ნახსენებ გედისგვარიან ტატიანას რაღა? რა და, პირველი ადგილი, ოღონდ ათენისაზე მოკრძალებული შედეგით — 14 მეტრი და 82 სანტიმეტრი. ათენური მანძილი 14,92 იყო. სხვა რამეც მნიშვნელოვანია: ლებედევამ დანარჩენ სამივე ნახტომშიც მინიმუმ 14,60 მეტრი უწვენა, რაც მის კარგ ფორმაზე მიგვანიშნებს.

აღრე რეგლამენტით 6 ნახტომი იყო გათვალისწინებული, მაგრამ მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაცია (იააფ) სამძლეოსნო სანახაობათა ეფექტის ასამაღლებლად ცდების ოდენობას ზღუდავს და საექსპერიმენტოდ სწორედ „გრან პრი 2“-ის ეტაპები შეურჩევია. შედეგები სახეზეა: ზოგ სახეობაში ნახევარი საათიც არ დახარჯულა, მაგრამ ქომაგთა რეაქციაზე ვერაფერს გეტყვით. სამაგიეროდ, ვიცით მათი განწყობა, როცა ნორჩმა ლუციაა კლოჩოვამ 800 მეტრი მოიგო. კლოჩოვა სლოვაკია, იუნიორთა მსოფლიოს პირველობის ბრინჯაოს მედალოსანი, ამიტომ 18 წლის ტანკენარი გოგოს ფეხმარდობა რომ იხილეს, სლოვაკებს ხასიათი გამოუკეთდათ.

**დავით გულუა**

# ზედგინიძე ტულონელია

## ახალმა კლუბმა ქართველ მორაგბეს ძირითადის გარანტია მისცა

ილია ზედგინიძე

**იყო** შანსი, საქართველოს ეროვნული და შვიდკაცა ნაკრებების წევრი ილია ზედგინიძე ფრანგული „ბეზიეს“ ლიდერი გამხდარიყო. გამხდარიყო, რადგან „ბეზიეში“ მისვლისთანავე მასზე დიდ იმედებს ამყარებდნენ გუნდის ხელმძღვანელები, მაგრამ სეზონი ისე დაიწყო და გასრულდა, რომ ფრანგულ ლიგაში ჩატარებულ ორ-სამ თამაშს თუ არ ჩავთვლით, ჩვენებური გუნდის მყარი სათადარიგო იყო.

არა, ამაში დამნაშავე თავად მორაგბე ნამდვილად არ ყოფილა. ზედგინიძე რომ ფორმაში იყო და შედეგიც არ დაეწუნებოდა, ეს ეროვნულ ნაკრებში თამაშითაც დაამტკიცა ილიამ.

არ წყალობდა მთავარი მწვრთნელი ჩვენებურს. ვერ შეხედა კარგი თვალით ქართველ ლეგიონერს. არადა, ყოლვეულდღე უმეორებდა — შენ საფრანგეთის ჩემპიონატის საუკეთესო მესამეხაზელი გახდებიო. იყო დაპირებები, იმედები... დრო კი გადიოდა. არა და არ მოლბა ალენ იარდე. „თუ მწვრთნელმა აღარ მთამაშა, კლუბს გამოვიცვლი. მართალია „ბეზიეში“ მოხვედრა გაცილებით რთულია, ვიდრე იქიდან წამოსვლა, მაგრამ სხვა გამოსავალს ვეღარ ვხედავ. მე თამაში მინდა, ამის საშუალება კი „ბეზიეში“ არ მაქვს“ — გვითხრა ზედგინიძემ, როდესაც საქართველო — ესპანეთი მატჩის შემდეგ გავესაუბრეთ.

ამასობაში „ბეზიეს“ „ელიტ 2“-ის „ტულონი“ დაუკავშირდა და ზედგინიძის გადაბირებაზე ჩამოუგდო სიტყვა. თავად ილიამ ამის თაობაზე მხოლოდ მას შემდეგ შეიტყო, რაც საქმეში საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი კლოდ სორელი ჩაერია. ეს უკანასკნელი თავად ელაპარაკა „ტულონის“ უფროსობას, კონტრაქტის დეტალებიც დააზუსტა, მორაგბისთვის საუკეთესო პირობებზე შეუთანხმდა ქართველის მსურველებს.

გუშინ კი ზედგინიძე ტულონში ჩავიდა და ბესიკ ხამაშურიძის და გია ლაბაძის კლუბს ერთწლიანი კონტრაქტი გაუფორმა.

„ეს წამია, კონტრაქტს მოვაწერე ხელი. უზომოდ გახარებული ვარ. „ტულონის“ მთავარ მწვრთნელს მანუელ დიას უკვე ვესაუბრე. მითხრა, ძირითადში თამაშის პრობლემა არ გექნებაო. მეც ეგ მინდა, რომ არ მთამაშებდნენ, სწორედ იმიტომ წამოვედი „ბეზიედან“. ფინანსურ საკითხებზე არ მისაუბრია. ჩემამდე კლოდ სორელი ელაპარაკა „ტულონის“ თავკაცებს.

ვიცი, სორელი ყველაფერს მაღალ დონეზე მოაგვარებდა. ისე, მეუბნებიან, კარგი ხელფასი, მანქანა და ბინა გექნებაო. ჩემთვის მთავარი კი სათამაშო პრაქტიკაა“ — გვითხრა ილიამ, როდესაც საფრანგეთში დავუკავშირდით.

„ტულონს“ რომ სერიოზული მიზნები ამოძრავებს, ეს ცნობილია. სეზონის წინ კლუბი ახალმა პატრონმა ჩაიბარა, რომელსაც „ტულონს“ ელიტაში აღზევება ჰქონდა განზრახული, მაგრამ გადასასვლელი ფინალი ტარიელ რატიანიძის აწ უკვე ყოფილი გუნდთან, „მონტობანთან“ დათმო „ტულონმა“ და მინიმუმ ერთი წლით ისევ „ელიტ 2“-ში მოუწევს ყოფნა. ამიტომ ხელმძღვანელებმა გუნდს გაძლიერება გადაწყვიტეს და საამისაოდ პირველი ნაბიჯიც გადადგეს. ზედგინიძის გადაბირების გარდა „ტულონმა“ ორი წლით გაუხანგრძლივა კონტრაქტი გია ლაბაძესა და ბესიკ ხამაშურიძეს. ორივე ქართველს ფრანგული კლუბის მესვეურები დიდად ემადლიერებიან.

დღეს კი „ტულონის“ ქართული ტრიო შეიძლება კვარტეტად იქცეს. „ტულონი“ ბორჯღალოსანთა პირველხაზელ აქვსენტი გიორგაძეს ელის, როელთანაც, შესძლოა, დღესვე გააფორმოს კონტრაქტი.

**ბაჩო სვანიძე**



მარე ნოსტრუმის სერია

# ტიტანთა ბრძოლა ოლიმპიადის სცენარით

**ბარსელონასა** და კანის შემდეგ მოცურავეთა მარე ნოსტრუმის ტურნირების ტალღამ მარადიულ ქალაქსაც გადაუარა.

რომის „დელ ნუტოს“ საწყლისნო ცენტრმა ამგვარი ასპარეზობების მესამე სერიას უმასპინძლა. ამ სარბიელს, რომელიც 1960 წლის რომის ოლიმპიური თამაშებისთვის აიგო, არც ახლა განუცდია ოლიმპიური ჩემპიონებისა და პრიზიორების ნაკლებობა.

პირველ დღეს ყველაზე მეტად ავსტრალიელმა და რუსმა მოცურავეებმა გამოიჩინეს თავი. მათ სამ-სამი ოქრო მოიპოვეს.

სარბიელზე პირველად 400 მეტრზე თავისუფალი სტილით მოცურავეები გამოჩნდნენ. სასტარტო ბაქანზე იდგა ავსტრალიელი „ბიჭი საოცრება“ იან ტორპი, თუმცა გადაჭედილი ტრიბუნები ტორპს კი არ ქომაგობდა, არამედ მის გვერდით მდგომ ასევე ოლიმპიურ ჩემპიონს, მასპინძელ მასიმილიანო როსოლინოს და ემილიანო ბრემბილას.

გულშემატკივრები მართლაც ტიტანთა ბრძოლის მოწმენი შეიქნენ. ამ სანახაობით იმედგაცრუებული არავინ დარჩენილა, თუ არ გავითვალისწინებთ შედეგს.

ყველაფერი სიდნეის ოლიმპიადის სცენარით წარიმართა. პირველობისთვის ბრძოლაში ოზი მოცურავის გამარჯვება იყო მოსალოდნელი, რადგან იგი ამ დისტანციაზე უძლეველია. ასეც მოხდა — მან თითქმის ორწამნახევრით (3.44,71) აჯობა მასპინძელს (3.47,32) არადა, თავიდან დაახლოებით 250 მეტრამდე იტალიელი პირველი მიცურავდა, მერე კი ტორპი გაიჭრა წინ და გაიმარჯვა კიდეც.

„სწორი გზით მივდივარ, ეს შედეგი კი იმ მდგომარეობის შესაფერისია, რომელშიც ახლა ვარ“ — განუცხადა გაძეტა დელო სპორტს“ ავსტრალიელმა.

მიუხედავად წაგებისა, არც როსოლინო ჩანდა უკმაყოფილო. „ჩინებული პაექრობა იყო. ბოლო რამდენიმე მეტრზე ძალა აღარ მეყო, თუმც ცოტაოდენი ვარჯიშიც და შესაფერის კონდიციამდე მივალ“ — ოპტიმისტურადაა განწყობილი დედით ავსტრალიელი როსოლინო. ემილიანო ბრემბილამ, რომელიც სიდნეის ოლიმპიურ წყალში მეოთხე იყო, ამჟამად ბრინჯაო მოიპოვა (3.50,08).

ტორპთან მარცხის შემდეგ როსოლინომ თავის საფირმო, 200 მეტრზე კომპლექსურ ასპარეზობაში გაიუმჯობესა გუნება. ისევე, როგორც სიდნეიში, იგი აქაც გამარჯვებული გამოვიდა — 2.03,42. თუმცა, მას არც ავსტრალიელი ჩამრჩა. მართალია, 100 მეტრზე თავისუფალი სტილით გაცურვა ტორპს არ მოუგია, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ მარე ნოსტრუმის განვლილ ეტაპზე კანში იგი საპრიზო ადგილის მიღმა დარჩა, ბრინჯაო ურიგო არ უნდა იყოს. აქ, როგორც მოსალოდნელი იყო, „ცარმა“ ალექსანდრ პოპოვმა გაიმარჯვა — 49,49. ამრიგად, რუსი მოცურავე ამ ასპარეზობის ჩემპიონი ზედიზედ მესამედ გახდა. მეორე ადგილი ასევე ოლიმპიურ ჩემპიონს, შვედ ლარს ფროლანდერს ხვდა წილად — 49,78. თავად ტორპმა კი მანძილი 49,85 წამში გაცურა.

საინტერესო გამოდგა 200 მეტრზე ბრასით ასპარეზობაც. მართალია, ამ დისციპლინაში იტალიელები ბატონობენ, მაგრამ ავსტრალიელმა ამომავალმა ვარსკვლავმა, 19 წლის ჯიმ პაიპერმა დაამტკიცა, რომ რომში ტყუილად არ ჩასულა. სიდნეის ოლიმპიადის ორგზის ჩემპიონთან, მასპინძელ დომენიკო ფიორავანტისთან (2.15,64) ჭიდილში ოზმა იმარჯვა — 2.12,42. მესამეზეც იტალიელი მიქელე ვანჩინი გავიდა (2.16,12).

მხრის ტრავმის მოშუშების მერე მარადიული ქალაქის ცისფერ ბილიკებზე სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი, ამერიკელი ლენი კრეიზელბურგიც გამოჩნდა. ამან კი „მეზურეთა“ ასპარეზობას ხიბლი შემატა. კრეიზელბურგი სიდნეის დარად აქაც ჩემპიონი გახდა — 55,52.

საჩემპიონო სვლა გააგრძელეს განვლილი ეტაპების გამარჯვებულმა ქალებმაც.

კოსტარიკელმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა კლაუდია პოლიმ 200 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში წლის საუკეთესო შედეგით გაიმარჯვა — 1.59,02. იმავე დისციპლინაში 800 მეტრზე ჩემპიონობა მოიპოვა რუსმა ირინა უფიმცევამ — 8.37,76. 200 მეტრზე გულაღმა ცურვაში პირველი იყო ავსტრალიელი კლემენტინ სტოუნი — 2.13,31. ხოლო უკრაინელმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა იანა კლოჩკოვამ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ 400 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში ბადალი არ ჰყავს — 4.41,10.

ტურნირის მეორე დღეს ალექსანდრ პოპოვმა თავისი საუკეთესო წლები გაიხსენა. 50 მეტრზე „თავისუფალში“ მან წლის საუკეთესო შედეგი აჩვენა — 22,11 და რომში, ისევე როგორც ბარსელონასა და კანში, დუბლი შეასრულა. მთლიანობაში კი პოპოვს მარე ნოსტრუმის ჰეთ თრიქი გამოუვიდა. ასევე შედეგით იწონებს თავს იან ტორპიც. ოზმა მეორე დღეს 200 მეტრზე თავისუფალშიც გაიმარჯვა — 1.47,86. ბარსელონაშიც რომ ეასპარეზა, ულავოა, იქაც ის დაჯაბნიდა ყველას. თუმცა არც ჰეთ თრიქია შორს. იგი ამას, ალბათ, მონტე კარლოს დასკვნით ეტაპზე გააკეთებს.

ტორპის თანამემამულე პაიპერთან მარცხის შემდეგ გაიხარა დომენიკო ფიორავანტიმაც. იტალიელმა 100 მეტრზე ბრასით ცურვაში წამის მეასედებით (1.02,11) აჯობა უახლოეს მდევრებს — უკრაინელ ოლეგ ლისოგორსა (1.02,17) და ავსტრიელ პატრიკ შმოლინგერს (1.02,21). თუმცა იტალიელი გულშემატკივრები ყველაზე მეტად კანადელი მორგან ჯნაბის მარცხმა გაახარა. მეოთხე ადგილზე გასულ ჯნაბისადმი იტალიელთა გულისწყრომა იმითაა გამოწვეული, რომ ამ უკანასკნელმა ადრე ფიორავანტის წარმატებები აკრძალულ პრეპარატებს მიაწერა.

ოლიმპიურ ჩემპიონთაგან გაიმარჯვა ლარს ფროლანდერმა. სკანდინავიელი საუკეთესო იყო 100 მეტრზე ბატერფლაით ცურვაში — 52,82. ისევე როგორც გაესპანელებული ნინა ჟივანევსკაია 100 მეტრზე გულაღმა ცურვაში (1.02,03) და უკრაინელი კლოჩკოვა 200 მეტრზე კომპლექსურში (2.14,38).

**გიგა გურასაშვილი**

მასიმილიანო როსოლინო



ევროპის ჩემპიონატი

# პოლგარი ლომის სწორია

## ოჰრიდში ქართველები ერთურთს ინდობენ

**ევროპელ** ვაჟთა ჩემპიონატის ბოლომდე ორი ტურიღა რჩება და ორასზე მეტ მამრში გარეულმა ერთადერთმა მანდილოსანმა ბრჭყალები გამოაჩინა. მე-11 ტურში უნგრელი იუდით პოლგარის მეტოქე ერთ-ერთ ლიდერად მავალი სერგეი ტივიაკოვი გახლდათ. ჰოლანდიის მოქალაქემ ვერ შეძლო, ქალს წინ აღდგომოდა და დაეშხო მას შემდეგ, რაც პოლგარის თეორმა ლაზიერმა, ეტლმა და მხედარმა შავი მეფის ირგვლივ მჭიდრო საშამათო ბადე მოქსოვეს. ორმა სხვა ლიდერმა, ჰოლანდიელმა ლუკ ვან ველიმ და ებრაელმა ემილ სუტოვსკიმ, ზავით გაყრა ამჯობინეს და პოლგარი იმათ დაეწია.

მაგრამ არა მარტო პოლგარი. ბოლო ტურებში მძლავრად დაიქოქა უკრაინელი იუნიორი რუსლან პონომარიოვი, ვისაც ვარსკვლავურ მომავალს უქადიან. მეთერთმეტე ტურში პონომარიოვს შავები ჰყავდა 4 ტურის შემდეგ ქულათა მაქსიმუმით მავალ კონსტანტინ ასეევთან. 40 წლის რუსმა დიდოსტატმა ვერ შეძლო ძალთა მოხერხებულად გაშლა და ახალგაზრდის კონტრიერიშს ემსხვერპლა. პონომარიოვიც სათავეში გაერია და კიდევ, შვეიცარიის სახელით მოთამაშე ვადიმ მილოვი, რომელმაც სოლიდური თამაშით რუს სერგეი ვოლკოს გადაუარა. მოკლედ, 8-ქულიანი ლიდერი 5 მოჭადრაკეა, ამდენივეს 7,5 აქვს და მერე კი მოდის 7-ქულიანთა ზორბა ჯგუფი, რომელშიც ზურაბ აზმაიფარაშვილი და გიორგი ყაჭეიშვილიცაა. ეს ორი ქართველი მე-11 ტურში ერთმანეთს შეხვდა და 7 სვლაში გაკეთებული ყაიმი გვაფიქრებინებს, რომ მათ ერთმანეთს ძალები შეანახვინეს. ძალები კი საჭიროა, ბოლო ორ ტურში ძლიერ დაცხება.

სხვა ქართველებიდან ზურაბ სტურუასაც 5,5 ქულა დაუგროვდა და მიხეილ მჭედლიშვილსაც, თუმცა ფიდეს ჩემპიონატზე მიმავალ 46 საუკეთესოში მათი მოხვედრის შანსები უკვე უაღრესად მყიფეა. ამის გაკეთება უფრო 6-ქულიან ბაადურ ჯობავას ძალუძს. ზვიად იზორიას 5 ქულა აქვს.

**დავით გულუა**


**იყიდება**

საძოთახიანი სუფთა ბინა 2 (9), საერთო ფართი 103 კვ. მ. აბაზანა–ტუალეტი რემონტით, ბ/აირით, ბარნოვის ქ. №71 II სად. შესასვლელი კბკელიძის ქუჩიდანაც

**ტელ:**
**22-75-07, 69-52-58**



**იყიდება**

ოროთახიანი სუფთა ბინა 30 კვ. მ. მიშენებით. დიღმის მასივი, IV კვარტალი, შე–19 კორპუსი, პირველი სართული. ფასი შეთანხმებით

**ტელ:**
**397 198, 959 032**
**8 77 428283**



REUTERS დანს კასტელიდან

# რობი ცოლს ირთავსო

ასე იყო: შოტლანდიაში, დანის ციხე კოშკში, რომელიც მეთოთხმეტე საუკუნიდან დგას ინგლისის საზღვართან, გვირგვინი იფსკვნეს მონამ ღვთისამ რობი ფაულერმა და მხევალმა ღვთისამ კერი ენ პენონმა. ქორწილში ბევრი განთქმული ფეხბურთელი იყო, ინგლისის ნაკრები კი, სიძის ჩათვლით, შეიძლება ითქვას, პირდაპირ საბერძნეთიდან, შესარჩევი მატჩის ადგილიდან მოქანდა ქორწილში.

ბადრი კეთილაძის ფოტო

# ფეარ პლეი ძია ბურძგლას!

ვარკეთილის მინდორზე გახურებული საქართველოს სარაგბო ჩემპიონატიდან, სხვათა შორის, ეს ფოტოც მოგვიდა. „უნივერსიტეტის“ თავკაცი გურამ მოდებაძე, მთელი საქართველოსთვის ძია ბურძგლად ცნობილი სარაგბო მოღვაწე მინდვრის კიდეზე წამოზრდილ ბალახში სცემს ბოლთას. „უნივერსიტეტმა“ 16:22 წააგო ბათუმელ „დათვებთან“, ძია ბურძგლამ კი ნაღდად დაიმსახურა ფეარ პლეი: „დათვების“ მიერ სტუდენტთა კარში დაჩრული ჯარიმა მსაჯებმა არ ჩათვალეს, ძალებს შუა არ გაუვლიაო, უნივერსიტეტელთა მწვრთნელმა კი ალალად უთხრა: ჩვენს კარში ბურთი ნაღდად გავიდა და უნდა ჩათვალოთო. ჯარიმა მაინც არ ჩაითვალა. გურამ მოდებაძემ კი კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ჯენტლმენობა არ მომკვდარა.

REUTERS მონრეალიდან

# თოჯინები იცინიან

მონრეალში, ჟილ ვილნევის საფორმულო ტრასაზე 10 ივნისს რომ კანადის დიდი პრიზი გაიმართა, არათუ მიხაელ შუმახერი და დეივიდ კულპარდი, არამედ მათი თოჯინებიც კი შეატაკეს ერთმანეთს, „ფერარის“ და „მაკლარენის“ თოჯინების თეატრში ჭიდილი ფრედ დასრულდა, რბოლაში კი საერთოდაც სხვამ გაიმარჯვა: „უილიამსის“ პილოტი რალფ შუმახერი, მიხაელის უმცროსი ძმაა, ასე რომ, კულპარდი ყველა შემთხვევაში დამარცხებული გამოდგა.

REUTERS ფილადელფიიდან

# ნავარჯიშევს

დასრულდა მორიგი ვარჯიში, „ლოს ანჯელეს ლეიკერსს“ შეჭიდებული ფილადელფიელი კალათბურთელები მაინც არ ტოვებენ მოედანს, რადგან მედიამ ხუთწუთიანი გადაღების საშუალება გამოითხოვა. ალენ აივერსონი მიკრომობილის საჭესთან ჩამომჯდარა და თანაგუნდელ რაჯა ბელთან ერთად მისცემია მეოთხე თამაშის გამო ფიქრს.

# უდარდელი გორანი

ლონდონში მიმდინარე სტელა არტუას საჩოგბურთო ტურნირი, „ქუინზ კლაბის“ კორტებზე რომ მიმდინარეობს, ხორვატი გორან ივანიშევიჩისთვის უკვე დასრულდა. იტალიელმა კრისტიანო ჩარატიმ 6:3, 6:4 მოუგო განთქმულ ხორვატს, თუმცა, გორანის გულს ჯავრი არ გაყარებია — ეს შეჯიბრი უფრო სალაღობოდ უჩანდა.

REUTERS ლონდონიდან

REUTERS ბრიუსელიდან

# გოგონები მეფესთან

ორი ბელგიელი თინეიჯერის წარმატება როლან გაროსის განთქმულ საჩოგბურთო ტურნირზე შეუმჩნეველი არ დარჩენია ბელგიელთა მეფეს, ალბერ მეორეს. მან სასახლეში მიიწვია კიმ კლაისტერსი (მარცხნივ) და ჟიუსტინ ენენი და კაი პატივი სცა. კიმი და ჟიუსტინი როლან გაროსის ქალთა ნახევარფინალამდე მივიდნენ და იქ ერთმანეთს შეხვდნენ.


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ტექნიკური რედაქტორი პახტანგ ბზიკაძე
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორაშვილი
კალათბურთის და ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი
კალათბურთის და ინფორმაციის რედაქცია გია აბალაძე, გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი ფირაშვილი
კორესპონდენტი ქუთაისში ოუზა კაციტაძე
ფოტო-რეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, თამაზ გოგებაშვილი, ელენე გელუტაშვილი, მამუკა გუბელაძე, სვეტა დეკაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, გურამ ხელაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge